# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

№ 68 (5926)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.





არჩევნების შედეგი, არჩევნების სამართლიანობის ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ვინაიდან ასეთი მოლოდინი მცირეა, ქართული ელექტორატის განწყობილების ამსახველი შედეგი, შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის გმირობის საფუძველზე დადგეს



სოსო ცისკარიშვილი:

## ბიზნესის წარმომადგენელთა იძულება, რომ მაჟორიტარ დეპუტატთა ადგილები შეავსონ, ქართული რეკეტის ფორმაა (2)

## საქართველო კი არა, ნაციონალები – სილარიბის გარეშე (4)

## რა საერთო აქვს ხათუნა გოგორიშვილს ვატერლოოსთან? (3)

## ლევან თარხნიშვილი – ნაციონალების სიყვარულის სახე (5)

## სახალხო დამცველმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა



## (15) ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალი

## ლადო გუდიაშვილის (8) „მერის“ ისტორიისთვის...





## სანდრიკა (6) ინსპექტორი, კუკარაჩა და... ორი დათო

ბევრმა ალბათ არც იცის, რომ როდესაც ტკბილი ძილით სძინავთ, ორი დათო ინსპექტორი დილამდე დადის ვერის უბანში და მათი ოჯახების უსაფრთხოებაზე ზრუნავს

# სახელმწიფო

● არჩევნების შედეგი, არჩევნების სამართლიანობის ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ვინაიდან ასეთი მოლოდინი მცირეა, ქართული ელექტორატის განწყობილების ამსახველი შედეგი, შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის გმირობის საფუძველზე დადგეს



## ◎ კითხული კაცის აზრი

**წინასაარჩევნო კამპანია კარგა ხანია დაწყებულია. ხალხის პარტიის ლიდერის კობა დავითაშვილის მოწოდებების მიუხედავად ოპოზიცია არჩევნებში ხელისუფლებას ერთიანი სიით ვერ დაუპირისპირდება. არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას გაერთიანებული ოპოზიცია, ლეიბორისტები, ქრისტიან-დემოკრატები და გაერთიანებულ ოპოზიციაში ფორმალურად დარჩენილი რესპუბლიკელები.**

**მოახლოებულ არჩევნებს ინტრიგას მატებს ხელისუფლების მიერ რაიონებში მაჟორიტარებად ბიზნესისა და ხელოვნების მუშაკთა წარდგენა-დასახელება. წინასაარჩევნოდ შექმნილ ვითარებაზე და მოახლოებული არჩევნების სავარაუდო შედეგებზე ინტერპრესნიუსი პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**

## სოსო ცისკარიშვილი:

# ბიზნესის წარმომადგენელთა იძულება, მაჟორიტარ დეპუტატთა ადგილები შეავსონ, ქართული რეკეტის ფორმაა

**— ბატონო სოსო, საარჩევნო კამპანია კარგა ხანია დაწყებულია. ხელისუფლებისა და მრავალ ნაწილებად დაქსაქსული ოპოზიციის დაპირისპირების ფონზე როგორ შეაფასებდით საქართველოში წინასაარჩევნო ვითარებას?**

— იმ სასტარტო სურათით, რაც აპრილისთვის უკვე გვაქვს, ცხადია, რომ ხელისუფლებას არჩევნების სამზადისი ბევრად უფრო ადრე აქვს დაწყებული, ვიდრე ოპოზიციას. ხელისუფლებამ ოპოზიციაზე ადრე აამოქმედა მთელი თავისი პოტენციალი და ორგანიზაციული რესურსი.

ეს მარტივად წარმოსადგენი იყო, მითუმეტეს, როცა რამდენიმე თვეა ცხადია დაუფარავი მცდელობა ხელისუფლებისა, გააჭიანუროს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია არჩევნების პროცესის საკითხის სრულყოფასთან. ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, შეინარჩუნა ის სტატუსკვო, რომელიც 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე არსებობდა.

ამიტომ საუბარი იმ მზადყოფნის შესახებ, რომ ყველაფერი გაუმჯობესდება, დაუჯერებელია. ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნებზე ჩადენილი "დანაშაულის" ნაცვლად ხმარობენ სიტყვას „ხარვეზი" ცხადია, რომ არავინ არაფრის გამოსწორებას არ აპირებს. ხელისუფლებას რომ ნდომოდა არჩევნები ყოფილიყო გამჭვირვალე, დემოკრატიული, ისინი ამას მოახერხებდნენ ბუქარესტის სამიტამდე. არჩევნებს მარტის ბოლომდე ჩაატარებდნენ, რათა ნატოს ქვეყნები დაერწმუნებინათ, რომ საქართველოში დემოკრატია რეალურად არის განვითარებული.

ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლების მიზანი დემოკრატიის განვითარება არ არის, ცხადია დასავლეთის დარწმუნება არც უცდიათ. თავის მხრივ, დასავლეთს ჩვენი ხელისუფლების სიტყვების აღარ სჯერა, რადგან მუდმივად აწყდებიან სრულიად განსხვავებულ რეალობას. არჩევნების წინ, ცხადია, „ცივი შხაპი" იყო, საქართველოს ომბუდსმენის იძულებითი პრევენცია უცხოელი დიპლომატებისათვის.

**— რამდენადაც ვხვდები, თქვენ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადების არ გჯერათ, რომელმაც ბრძანა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ქვეყანაში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის?**

— არანაირი ფაქტი არ გვაქვს იმისა, რომ მაისის არჩევნებში, იანვრის არჩევნებთან შედარებით, რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლება. ასეთი პოლიტიკური ნება ხელისუფლებას არ გამოუხატავს. ყველაფერი მხოლოდ განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკურ ძალთა თუ პიროვნებათა ჯიბრზე ხდებოდა. სხვა, რაიმე დახვეწილი კონკრეტიკა არ ყოფილა.

თავად ის ფაქტი, რომ ცესკოს თავმჯდომარის შეცვლა ვერ მოხერხდა, იმის დასტურია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ადვილი მოსაძებნი არ იყო ისეთი უპრინციპო კაცი, როგორიც თარხნიშვილი აღმოჩნდა. თუმცა, ძალიან კარგად გვახსოვს პარლამენტის თავმჯდომარის საჯარო პირობა, რომ თარხნიშვილი გადადგებოდა.

**— ხელისუფლებამ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებში ერთიანი პოზიციების ჩამოუყალიბებლობაში ოპოზიცია დაადანაშაულა. იზიარებთ თუ არა ლეიბორისტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ოპოზიციას არჩევნებისათვის ბოიკოტი რომ გამოეცხადებინა, სამართლიანი არჩევნებისათვის უფრო კარგი გარემო შეიქმნებოდა.**

— ხელისუფლებას, რომლისთვისაც ადამიანის სიცოცხლე ღირებულებას არ წარმოადგენს, ვინმეს ბოიკოტი არჩევნებთან მიმართებაში სასაცილოდაც არ ეყოფოდა. მითუმეტეს, რომ მათ ეს ადრევე გათვალეს და არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გააჩინეს კიდეც სპეციალური პოლიტიკური ძალები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებდნენ.

**— ხომ არ დააზუსტებდით, ვის გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ, ნაწვიმარზე სოკოებივით გაჩენილ ახალ პოლიტიკურ პარტიებს. ისინი რომ ბოიკოტისთვის არ შექმნილან, ფაქტია. არჩევნებში წამყვან პოლიტიკურ ძალებსაც რომ არ მიეღოთ მონაწილეობა, ისინი არჩევნებს მაინც ჩაატარებდნენ. დასავლეთისთვის იმის ახსნა-განმარტება, ბოიკოტის შედეგად არჩევნებში მონაწილეობა წამყვან ძალებს არ მიუღიათ, 120 სუბიექტი კი არა, 125 უნდა ყოფილიყო, არასერიოზული იქნებოდა.

**— როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მიერ მაჟორიტარებად ბიზნესმენებისა და ხელოვნების მუშაკთა წარდგენას? რუსუდან კერვალიშვილი და გიორგი გოგუაძე... ცნობილი გახდა, რომ ოზურგეთში მაჟორიტარად ანზორ ერქომაიშვილი იყრის კენჭს...**

— ისეც ცხადია, რომ კონკრეტულ ადამიანთა ნააზრევის რეალიზაციაა. როდესაც ბიზნესმენთა ასეთი ჯგუფი პარლამენტარობის სურვილს ამჟღავნებს, რასაკვირველია მას ეპიდემიის სახე აქვს. ეს საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ნამდვილად არ არის, ეს არის გამოვლინება "ბენდუნომიკისა", რომელიც ქვეყანაში მძვინვარებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიზნესმენი ხელისუფლების საკუთრებაა.

ჩემი აზრით, ბიზნესმენები, რომლებიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დგამენ ნაბიჯს და პარლამენტარობას აპირებენ, თვითონვე გახლავან საკუთარი ბიზნესის მესაფლავენი. წარმოუდგენელია, ქვეყანაში, რომლის პარლამენტს მკაფიოდ გამოკვეთილი ბიზნესმენთა და მეწარმეთა პარტია ჰყავს, ისეთი როგორიცაა ახალი მემარჯვენეები და მრეწველები, არც ერთ ბიზნესმენს არ მოუნდა ამ პარტიაში შესვლა და ისე გაპარლამენტარება. მათ იციან, სად უნდა წაიღონ ფული და რაში უნდა დახარჯონ, ეს ყველაფერი ნაკარნახევია. წინასწარ იციან, რომელ რაიონში, რაშია ფული დასახარჯი, ცხადია ასეთი ბიზნესი უზარმაზარი რისკის ქვეშ დგება მას შემდეგ, რაც მისი მეპატრონე პარლამენტში ხვდება, რადგან ის იქნება მუდმივი ზეწოლისა და შანტაჟის სუბიექტი ხელისუფლების მხრიდან.

ძალიან გულსატკენია, როცა ბიზნესმენთა შორის არიან ადამიანები, რომელთაც არანაირი სურვილი პარლამენტარობის არ გააჩნიათ და მხოლოდ ბიზნესინტერესების გამო იძულებულნი არიან ხელისუფლების ნებას დაყვნენ. ქართული რეკეტის ფორმაა ბიზნესის წარმომადგენელთა იძულება, შეავსონ მაჟორიტარ დეპუტატთა ადგილები.

ეს ერთიანი სქემაა, არავის არ აინტერესებს არც ერთი რაიონის მაცხოვრებელთა ინტერესები. ეს იყო სრული დემაგოგია, გაზრდილიყო მაჟორიტართა რაოდენობა ასეთი ბიზნესმენების ხარჯზე, რომლებიც თურმე ერთდროულად დაფიქრებულან და პიონერული ერთგულებით წყვეტენ — რომ სამშობლოს უნდა უპატაკონ საკუთარი გადაუდებელი აუცილებლობა, გახდნენ პარლამენტარები. ეს მათ საქმიანობას ვერანაირ სიმშვიდეს, ხალისს ვერ შესძენს და სამომავლოდ ბიზნესსაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

რაც შეეხება კულტურის მოღვაწეებს. ჩემთვის ანზორ ერქომაიშვილი ისეთი უზარმაზარი პატივსაცემი პიროვნებაა გახლავთ, რომ სააკაშვილს კი არა, ჰიტლერს რომ წამოეყენებინა მისი კანდიდატურა, მე მას მხარს დავუჭერდი. მე გამიკვირდა, რომ იგი დეპუტატობას დათანხმდა, მაგრამ ნეტავი ასეთი ღირსეულნი იყვნენ არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ბიზნესმენებიც. ანზორ ექრომაიშვილს მე ვერც ერთ ბიზნესმენთან ვერ გავაიგივებ. თუ დეპუტატობა მისი რეალური სურვილია, მე პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას.

**— ცესკომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია დაასრულა. ცხადია, რომ კობა დავითაშვილის მოწოდებების მიუხედავად, ოპოზიცია არჩევნებში ერთიანი სიით ვერ გამოვა. არჩევნების შედეგების პროგნოზირების თვალსაზრისით, როგორია თქვენი ვარაუდი?**

— ის ფაქტი, რომ ოპოზიციური გაერთიანებები რამდენიმესუბიექტიან ბლოკებად ჩამოყალიბდნენ, თავისთავად პროგრესია ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ხელისუფლების მთელი რესურსი გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგ იქნება მიმართული, რაც შესაბამისად საქმეს უფრო გაუადვილებს ლეიბორისტებს და რესპუბლიკელებს.

არჩევნების შედეგი, არჩევნების სამართლიანობის ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ვინაიდან ასეთი მოლოდინი მცირეა, ქართული ელექტორატის განწყობილების ამსახველი შედეგი, შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის გმირობის საფუძველზე დადგეს. თუ ქართული საზოგადოება მზად იქნება საკუთარი არჩევანი გმირობის ფასად დაიცვას, მაშინ არჩევნების შედეგი ისეთი არ იქნება, როგორიც ეს საქართველოს ხელისუფლებას წარმოუდგენია.

ნებისმიერ შემთხვევაში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების მცდელობაც კი, რაც წარმოუდგენელია კანონიერი არჩევნების პირობებში, აღქმული იქნება, როგორც დარტყმა დემოკრატიის პერსპექტივებზე და ზოგადად ქვეყნის იმიჯზე, ვინაიდან იმ ლიტონი სიტყვებითა და ტექსტებით, რომლითაც გამოდის ჩვენი ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გურგენიძე, სულ წყალში გადაყრილი მცდელობაა ვინმეს დასარწმუნებლად, რომ ჩვენთან არის საბაზრო ეკონომიკა, როცა მთელ ბიზნესს ფუნთუშასავით გამოაყრის პარლამენტარობის სურვილი.

**კობა ბენდელიანი**

## ◎ ინფორმაცია

### რესპუბლიკელები მაჟორიტარ დეპუტატებს ასახელებენ

**„რესპუბლიკურმა პარტიამ" ქვემო ქართლის რამდენიმე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები უკვე დაასახელა.**

მარნეულში ქამილ ალიევი იყრის კენჭს, წალკიდან — გოდერძი ნარიმანიშვილი, ბოლნისიდან — დავით ასპანიძე, თეთრიწყაროდან კი — მერაბ ძირკვაძე.

ამავე რეგიონში მმართველ პარტიას აზერ სულეიმანოვი, მიხეილ ცქიტიშვილი, სოფიო ლარცულიანი და დავით ბეჟუაშვილი ჰყავს წარდგენილი.

სხვა ოპოზიციურ პარტიებს ქვემო ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატები ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებიათ.

### პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევს

**კონსერვატორი კახა კუკავა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს.**

როგორც კუკავამ განაცხადა, პრეზიდენტი ვალდებული იყო, ყოველწლიური მოხსენებით პარლამენტის წინაშე გამოსულიყო.

2005-2006 წლების ანგარიში პრეზიდენტმა პარლამენტს, შესაბამისად, 2006 წელს 14 თებერვალს და 2007 წლის 15 მარტს წარუდგინა.

პრეზიდენტის მოხსენება, კუკავას თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებთან არავითარ კავშირში არ არის, რადგან 2004 წლის აპრილში მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს თანამდებობაზე არჩევიდან რამდენიმე თვეში მიმართა და, ძირითადად, სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, წელიწადში ერთხელ პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვან საკითხებზე.

**ინტერპრესნიუსი**

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

**ხელისუფლებისა და ოპოზიციის რინგზე შვიდთვიან ორთაბრძოლას 21 მაისი დააგვირგვინებს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საბოლოოდ გაირკვევა, რა ბედი ეწევა საერთო-სახალხო მოძრაობის ლოზუნგს „საქართველოს სააკაშვილისა და შევარდნაძის ნარჩენების გარეშე“**



## საპარლამენტო არჩევნების წინ

# რა საერთო აქვს ხათუნა გოგორიშვილს ვატერლოოსთან?

**ხელისუფლებისა და ოპოზიციის რინგზე შვიდთვიან ორთაბრძოლას 21 მაისი დააგვირგვინებს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საბოლოოდ გაირკვევა, რა ბედი ეწევა საერთო-სახალხო მოძრაობის ლოზუნგს „საქართველოს სააკაშვილისა და შევარდნაძის ნარჩენების გარეშე“, ანუ ჩვენი ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდება სააკაშვილისა და შევარდნაძის ნარჩენებისგან, თუ პირიქით — საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ამ არჩევნებშიც ოპოზიციას ფიასკო ელის და ნაციონალური მოძრაობა კვლავ უმრავლესობით მოვა პარლამენტში?**

ეს კითხვა მთელი სიმწვავით თავს იჩენს ახლა და იქვე მეორე კითხვაც იბადება — შეიცვალა თუ არა გარემო, რამაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და ობიექტური არჩევნები?

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სწორედ ამისთვის ოპოზიცია გამალებული იბრძოდა, თუმცა, თავდაპირველი პასიურობით, რაც მისმა ლიდერებმა სიტუაციის განმუხტვით ახსნეს, ხელისუფლებამ გვარიანად ისარგებლა — ინაუგურაციაც ჩაატარა და ძალაუფლების განმტკიცებას მიჰყო ხელი. ოპოზიციის დაგვიანებულმა პროტესტმა და შიმშილობის აქციამ, შეიძლება ითქვას, ვეღარ გაამართლა. მართალია, ერთიანი ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ გააშიშვლეს ხელისუფლება, რომელმაც ყოველგვარ ჰუმანურ მოსაზრებაზე უარი თქვა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ოპოზიციის მოთხოვნებიდან შესრულდა მხოლოდ ერთი — შეიცვალა მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის შეფი, თუმცა, საკითხავია, რით არის იგი წინამორბედზე უკეთესი? არ შეცვლილა არც ცესკოს დაკომპლექტების წესი და არც მისი თავმჯდომარე.

ოპოზიციის წარმომადგენლები თავს იმშვიდებენ, თარხნიშვილი ლუსტრირებულია, ვიცით, ვინც არის და მისი გადაყენების მოთხოვნას აზრი არ ჰქონდაო. მაგრამ თარხნიშვილის სინდრომი 21 მაისის არჩევნებზე უწინდებურად რომ თავს იჩენს, აღარც ეს არის საეჭვო. თარხნიშვილის თანამდებობაზე დატოვებით ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოპოზიციამაც იპასიურა ამ საკითხში. ყველა გონივრულად მოაზროვნე მიხვდება, რას ნიშნავს საპარლამენტო არჩევნების თარხნიშვილის პიროვნებში ჩატარება. ეს ცინიზმის უმაღლესი გამოვლენაა, წუთუ ასეთი აუცილებელი იყო ამ ადამიანს ჩაეტარებინა არჩევნები, ვის მიმართ უნდობლობამაც თბილისის ქუჩებში 200-300 ათასი კაცი გამოიყვანა, რამდენიც ჩვენი უახლოესი ისტორიის მანძილზე თვალით არავის უნახავს?

ამ ფონზე აუცილებლად გასათვალისწინებელია დასავლეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების ძმედება, მოახდენენ კი ისინი სამართლიანი არჩევნების ჩატარების მიზნით ხელისუფლებაზე ზემოქმედებას? მოეგო კი გონს დასავლეთი 7 ნოემბრის შემდეგ თუ ისევ „დიდი დემოკრატიის“ იმედი აქვთ? ევროსაბჭოს წარმომადგენელმა მათიას იორშმა ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის, ევროსაბჭოს ზემოქმედების ბერკეტი მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების თაობაზე დასკვნის დაწერა ყოფილა, სხვა არაფერი. ამ ბერკეტს კი ზემოქმედების როგორი ძალაც აქვს, საპრეზიდენტო არჩევნებმა დაგვარწმუნა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთი არსებითად მაინც ხელისუფლების მეხოტბეა და მას კოჭს ამჯერადაც გაუგორებს, ოღონდაც ქვეყანაში იყოს სტაბილიზაცია, სხვა დანარჩენი წყალსაც წაუღია (საქართველოში ცოტა ხნის წინათ ჩამოსულმა მათიას იორშმა პირდაპირ ქედი მოიხარა ნინო ბურჯანაძის წინაშე და მას მადლობა გადაუხადა პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისთვის), ძნელად მისახვედრი არ იქნება მისი პოზიცია არჩევნებთან დაკავშირებით.

დასავლეთმა თვალი დახუჭა ხელისუფლების ანტიჰუმანურ ქმედებაზე და მოშიმშილეებთან მის მიერ მკაცრი ტონით საუბარზე. ის, რომ მოშიმშილეები ტერორისტები არ იყვნენ და რაიმე შეუძლებელს არ მოითხოვდნენ, ყველამ და მათ შორის, დასავლეთმაც მშვენივრად დაინახა. მაგრამ ისინი მხოლოდ ზედაპირული დაკვირვებით შემოიფარგლებიან, სამაგიეროდ, ხელისუფლებამ ის ადამიანი, ვის გადადგომასაც ოპოზიცია მოითხოვდა, ნაციონალური მოძრაობის სიაში პირველ ნომრად გაამწესა. წინასაარჩევნოდ, სააკაშვილის მიბაძვით, ახლა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ დაიწყო სოფელ-სოფელ, კარდაკარ სიარული, ბლუჯა დაპირებების დარიგება და ცრემლიანი თვალებით ხალხთან შეხვედრები.

ოპოზიციას იმედი აქვს, რომ მათმა შიმშილობამ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას თვალი აუხილა და ხელისუფლების ნამდვილი სახე წარმოაჩინა, რომ ისინი დაპირებებს გასცემენ, მაგრამ შემდეგ აღარ ასრულებენ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ისევ თარხნიშვილს ტოვებენ...

ოპოზიცია ფიქრობს, რომ ბურჯანაძე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რადგან მან ქვეყანას პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტის შანსი დაუკარგა. ხელისუფლებამ მათ ფაქტობრივად ომი შესთავაზა და ოპოზიციამ ეს გამოწვევა მიიღო. თუ საპარლამენტო არჩევნები კვლავ გაყალბდება, ოპოზიცია უფლებას იტოვებს, ქართულ საზოგადოებას საერთო-სახალხო აჯანყებისკენ და ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლისკენ მოუწოდოს.

ოპოზიციის ლიდერები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებას არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვს, რომ ნაცმოძრაობის რიგებში დიდი გაუგებრობა და პანიკაა, ამიტომ არის, რომ არჩევნებში ბიზნესმენები და ფულიანი ხალხი დაუპირისპირა ოპოზიციასო. გამარჯვების შანსი რომ ჰქონდეთ, მეღვინეებისა და ბანკირების იმედად როგორ იქნებოდნენო, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა და იქვე დასძინა, ნაპოლეონს ჰქონდა ვატერლოო, გოგორიშვილსაც ექნება თავისი ვატერლოო, და ეს იქნება საპარლამენტო არჩევნებიო.

თუმცა, ოპოზიციის ლიდერებისგან განსხვავებით, ექსპერტები ბიზნესმენების გაპარლამენტარებას უწონებენ ხელისუფლებას, მის ამ ნაბიჯს გონივრულს უწოდებენ, ფულიანი კაცი განსაკუთრებით გაღატაკებულ რეგიონებში მმართველ პარტიას, სასურველ ხმებს მოაპოვებინებს. მასაზეა გათვლილი სიებში ე. წ. „ცნობადი სახეების“ შეყვანაც. ნაცმოძრაობას სულ არ აინტერესებს, პარლამენტში პოლიტიკოსები ეყოლება თუ საოპერო დასი, ამჯერად მთავარი ოპოზიციის დამარცხება და მიზნის მიღწევაა. ამ მიზნისთვის იგი ყველა ხერხს და საშუალებას იყენებს. მან იცოდა, რომ მხოლოდ პროპორციული სისტემით წააგებდა და ამიტომ მაჟორიტარული სისტემა შემოიტანა, რითაც პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების უზურპაციას გეგმავს.

ამ გაწამაწიასა და გაწევ-გამოწევაში, ორივეს — ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ავიწყდება მთავარი — გულგატეხილი ხალხი, რომელიც განზე დგას, აკვირდება პოლიტიკურ პროცესებს, არჩევნების მიმართ ნდობა დაუკარგავს და ვერ ხედავს ლიდერს, ვისაც შეიძლება ენდოს და ბოლომდე გაჰყვეს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### კონფლიქტები პოლიტიკური გზით მოწესრიგება

**საქართველოს ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტების პოლიტიკური გზით მოწესრიგება და ამიტომ სთავაზობს აფხაზებს კონკრეტულ და სერიოზულ წინადადებებს.**

**ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.**

**მისივე თქმით, სამშვიდობო ინიციატივებზე ნათლად ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმა და გაახმოვანა ზოგიერთი სპეციალურად მივიწყებული ინიციატივა,**



**რომელთა ერთგულიც საქართველო იყო და არის.**

**პარლამენტის თავმჯდომარემ სამშვიდობოებთან დაკავშირებით რუსული მხარის განცხადებებზე აღნიშნა — იქ სიახლე არაფერია და ქართულმა მხარემ იცის, რომ რუსეთი, სამწუხაროდ, მაქსიმალურად ცდილობს სტატუსკვოს შენარჩუნებას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.**

### ადვოკატებს აქციის ჩატარება კანონიერად სურთ

**ადვოკატთა საგაფიცვო კომიტეტმა და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა 18 აპრილს 16 საათზე სახელმწიფო კანცელარიასთან დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიაში ოფიციალური შეტყობინება შეიტანეს.**

**საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, აქცია ერთდღიანი იქნება და მისი მიზანია კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბება.**

**ყველა ღონეს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ სასამართლო ხელისუფლება კანონისა და ხალხის სამსახურში ჩადგეს, — აღნიშნა ჩხარტიშვილმა.**



**ადვოკატ მალხაზ ჯანგირაშვილის თქმით, აქციას ადვოკატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რიგითი მოქალაქეებიც შეუერთდებიან.**

**ადვოკატი ჯანგირაშვილი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნით 29 დღე შიმშილობდა მოსახლეობას მოუწოდებს მხარი დაუჭირონ ადვოკატთა მოთხოვნებს.**

### არჩევნების გაყალბების ახალი ხერხი

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნების გაყალბებას საკანონმდებლო დონეზე აპირებს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, პრეზიდენტი სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ აგონიაშია და ყველაფერს აკეთებს, რათა მომავალი საპარლამენტო არჩევნები გაყალბდეს.**

**მისივე თქმით, ნაცმოძრაობისა და სააკაშვილის დავალებით, ცესკომ გადაწყვიტა, რომ შემაჯამებელ ოქმებზე 6 ბეჭდის დარტყმა საჭირო აღარ არის და ამისთვის მხოლოდ ხელმოწერებია საკმარისი.**

**გარდა ამისა, რაიმე დარღვევის გასაჩივრება საარჩევნო უბანზე, ორი დღის ნაცვლად, ერთ დღეში უნდა მოხერხდეს. ახალი წესით, უბნის შემაჯამებელი გასაჩივრებული ოქმი ცესკოში აღარ გადაიგზავნება და ადგილზევე განიხილება, — აღნიშნა ძაგანიამ.**

**მანვე აღნიშნა, რომ სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას ასეთი გადაწყვეტილებით სურთ, ქართულ საზოგადოებას შეუცვალოს თავისი გადაწყვეტილება, რომელსაც არჩევნებზე დააფიქსირებს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი




№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

# ცხოვრება

● გუშინ ახალგაზრდა რესპუბლიკელებმა პარლამენტის კიბეებზე დოლარის გამოსახულებიანი სამოცდათხუთმეტი ტომარა ჩამოალაგეს, მაგრამ არა ფულით, არამედ... ნაგვით სავსე.

ტომრების უკანა ფონად თეთრ ბაირაღზე წარწერილი იყო: „ნაციონალური მოძრაობა – სიღარიბის გარეშე“

◎ თეატრალიზებული აქცია

## საქართველო კი არა, ნაციონალები – სიღარიბის გარეშე

### ბიზნესმენო მაჟორიტარებო, ნუ იქნებით „ფულის ტომრები“!

**გუშინ ახალგაზრდა რესპუბლიკელებმა პარლამენტის კიბეებზე დოლარის გამოსახულებიანი სამოცდათხუთმეტი ტომარა ჩამოალაგეს, მაგრამ არა ფულით, არამედ... ნაგვით სავსე.**

**ტომრების უკანა ფონად თეთრ ბაირაღზე წარწერილი იყო: „ნაციონალური მოძრაობა – სიღარიბის გარეშე“.**

გამვლელ-გამომვლელებმა ამ აქციისა ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ბევრი რესპუბლიკელთა დროშისკენ გაბუტული იმზირებოდა. მათ გაერთიანებული ოპოზიციისაგან განდგომა ჯერაც ვერ აპატიეს.

ახალგაზრდა რესპუბლიკელების ხელმძღვანელი **ირაკლი კახიძე** ჟურნალისტებისთვის კომენტარებს არ იშურებდა: – ეს მდუმარე აქცია ნაცმოძრაობის დასახელებული მაჟორიტაროების კანდიდატებისთვის გავმართეთ. როგორც იცით, ნაციონალური პარტიის მთავარი სლოგანია „საქართველო სიღარიბის გარეშე“, მაგრამ თუ ჩავწვდებით ამ მოძრაობის რეალურ მიზნებს, მათი სლოგანი ასე იკითხება – „ნაციონალები – სიღარიბის გარეშე“.

მათ უნდათ, მიიზიდონ ბევრი ბიზნესმენი, ანუ ფულის ტომარა, მოისყიდონ ამომრჩეველი და ასე გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა, მაგრამ ეს არ გაუვათ, რადგან ქართველი ხალხი არ იყიდება.

**– რითი გაავსეთ ეს ტომრები?**

– ნაციონალების ტომრებში ფული ყრია, მაგრამ ჩვენ ამის საშუალება არა გვაქვს – ქაღალდები ჩავყარეთ.

**თიკო ძნელაძე** (ახალ. რესპუბლიკელების აღმასრულებელი დირექტორი): – ეს აქცია ჩვენი იდეაა, მაგრამ დაკვეთა საზოგადოებისგან მოდის. ამით ვეუბნებით ნაციონალური მოძრაობის ბიზნესმენ მაჟორიტაროების კანდიდატებს, რომ უარი თქვან ამ შეთავაზებაზე. შეიძლება ეს ხდებოდა ძალდატანებით, მაგრამ მაინც ვურჩევთ, რომ არ დახარჯონ ფინანსები ნაციონალების შავ საქმეზე. თუნდაც, ნუ დაუფინანსებენ რეზინის ტყვიებს.

**– მაგრამ თუ ფულს კარგი საქმისთვის დახარჯავენ?**

– ჩვენ არ გვჯერა, რომ ნაციონალური მოძრაობა კარგ საქმეს აკეთებს.

**– თუნდაც ერთ ადამიანს რომ დაეხმაროს დეპუტატობის კანდიდატი ბიზნესმენი?**

– ამისათვის სულაც არ არის საჭირო ნაციონალებთან დადგეს.

**– რესპუბლიკელები არ აპირებენ ფულის დახარჯვას?**

– ბუნებრივია, არჩევნებზე ფულს ყველა ხარჯავს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა სხვა შემთხვევაა. მას ბიზნესმენები მხოლოდ ფულისთვის სჭირდება. აქ მთავარია ის, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია – მკვდარია! მათ არ ჰყავთ კანდიდატები და უნდათ ბიზნესმენები ჩარიონ იმ საქმეებში, რასაც ოთხი წელია აკეთებენ.

**– აქციების გამართვას კიდევ აპირებთ?**

– აქციები პერმანენტულად გაიმართება, მაგრამ ყოველთვის ნეგატიური როლი იქნება. ასევე ვგეგმავთ პოზიტიურ ღონისძიებებს, რომელიც რესპუბლიკური პარტიის შესაძლებლობებსა და ღირსებებს წარმოაჩენს.

* * *

შეკრებილები ამოძრავდნენ.

**– აქცია დამთავრდა თუ...?**

– დიახ, სულ ეს არის, ჩვენ ახალი სტილი გვაქვს, არავითარი რუპორები და ა.შ. მოვდივართ, იდეას ვამკვიდრებთ და ვიშლებით, – მიპასუხებენ ახალგაზრდები.

**– მაგრამ, დაბრუნდებით?**

– 21 მაისს დავბრუნდებით!

**თეა მოსია**

◎ კონფლიქტის ზონა

## აფხაზები საიუბილეო მონეტებს გამოუშვებენ

**სეპარატისტული აფხაზეთი „დამოუკიდებლობის“ მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მონეტების გამოშვებას აპირებს. აფხაზეთი ამ თარიღის აღნიშვნას მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გეგმავს.**

**ოქროს, ვერცხლისა და პლატინის მონეტებს იდეოლოგიური დატვირთვა აქვს. ისინი ომში გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის მე-15 წლისთავს მიეძღვნება. აღნიშნული საიუბილეო მონეტების გამოშვების იდეა აფხაზეთის ე.წ. ეროვნულ ბანკს ეკუთვნის. ბანკის ხელმძღვანელის, ილარიონ არღუნის განცხადებით, პირველ აფხაზურ მონეტებს რეალური ღირებულება ექნება და ისინი შემადგენლობის მიხედვით (ოქრო, ვერცხლი, პლატინა) არსებულ ძვირფასი ლითონების შესაბამის ფასში გაიყიდება.**

**საიუბილეო მონეტების სიუჟეტებს სპეციალურად შექმნილი სამხატვრო კომისია შეადგენს. არღუნის განცხადებით, აფხაზური მონეტების მიმოქცევაში გამოშვება არ ნიშნავს საკუთარი ფულადი ერთეულის ამოქმედებას.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს □„წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის“ სააუქციონო კომისია, გაკოტრების მმართველის 2007 წლის 20 მარტის № 11 ბრძანებით დამტკიცებული „შპს წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის“ გაკოტრების მასის (ქონების) რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ“ დებულების, გაკოტრების მმართველის 2008 წლის 11 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად, აცხადებს აუქციონს შპს „წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტი“-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგ მიწის ნაკვეთზე (ერთ ლოტად):

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 228 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქ. № 52-54-ში (სარეგისტრაციო ზონა ბათუმი, სექტორი VIII, 08, კვარტლის № 14, ნაკვეთის № 009).

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა **34300** (ოცდათოთხმეტიათას სამასი) ლარი; ბიჯი – **500 ლარი,** ბე - **5000** ლარი

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 50 ლარია, ხოლო იურიდიულ პირისთვის 100 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს „საქართველოს ბანკის“ ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის ნომერი 116467042, საიდენტიფიკაციო № 245386498.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის ჩატარებიდან **20 (ოცი)** კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ...აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2008 წლის 21 აპრილის ჩათვლით 10 სთ-დან 16 სთ-მდე (შპს „წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის“ ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, წერეთლის ქ.№ 2)).

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 21 აპრილს 17.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. № 2

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 877 416541

**სააუქციონო კომისია**

◎ ინფორმაცია

## დნმ-ის ექსპერტიზა – კრიმინალების წინააღმდეგ

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიურ ლაბორატორიაში წელს ჩატარდა 689 ექსპერტიზა, მათ შორის 36 დნმ კვლევა, რის შედეგადაც არაერთი რთული კრიმინალური საქმე გაიხსნა.**

**როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან დნმ ანალიზი სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს დადგენილების საფუძველზე დაინიშნა.**

**ბიოლოგიური ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ექსპერტიზა შესაბამის უწყებებს განზრახ მკვლელობის - 5, გაუპატიურების - 4, ავტოსაგზაო შემთხვევის - 1, გვამის იდენტიფიცირების - 2, თვითმკვლელობის - 1, სადავო მამობის დადგენის - 13, სხეულის დაჭრის - 1, პიროვნების იდენტიფიცირების - 4 და ქურდობა-ყაჩაღობის 5 საქმის გახსნაში დაეხმარა.**

**მაგალითად: თებერვალში ჩატარებული დნმ კვლევის შედეგად საჩხერეში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე დაკავებული ორი ექვმიტანილის ბრალეულობა დამტკიცდა. პირველადი სეროლოგიური ექსპერტიზის მიხედვით, ყაჩაღობაში ბრალდებულებსა და დაზარალებულს ერთი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდათ. დნმ კვლევის შედეგად კი ექვმიტანილთა იდენტიფიცირება მოხერხდა. ერთ-ერთ ბრალდებულის ტანსაცმელზე საკუთარი და დაზარალებულის სისხლი აღმოჩნდა, მეორე ექვმიტანილის ტანსაცმელზე კი – საკუთარი და მეორე ბრალდებულის სისხლი.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების მიმართვის საფუძველზე მარტში ჩატარებული დნმ ანალიზის შედეგად, მოტაცებული ბავშვის ბიოლოგიური დედის იდენტიფიცირება მოხდა. დედას შვილი მეზობელმა გაუშვილა. მან შვილის პოვნა მოახერხა და დნმ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ბიოლოგიური დედობის დამტკიცება შეძლო.**

## გაიოლდება პროდუქციის ექსპორტირება

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტში გაწევრდა.**

**როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან იტყობინებიან, გაწევრების შედეგად, ქართველი მეწარმეებისთვის და სახელმწიფო მარეგულირებლებისთვის ევროპული რეგულაციების უზრუნველმყოფი სტანდარტები ხელმისაწვდომი გახდება.**

**საქართველოს სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტში გაწევრება შესაძლებელს ხდის პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების ევროპული წესების შემოღებას, რაც მეწარმეებისთვის ხარჯებს ამცირებს. პროდუქციის ექსპორტირებისას თავიდან იქნება აცილებული გამოცდებისა და გაზომვების ხელმეორედ ჩატარება.**

## გოთუას ქუჩა შეკეთებულია



**გოთუას ქუჩაზე მიმდინარე სავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. დედაქალაქის მერიის ინიციატივით კაპიტალურად შეკეთდა და გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები.**

**კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ინიციატივით ქუჩაზე ახალი ასფალტის საფარის დაგება დაიწყო. თბილისის მერის მოადგილემ გოთუას ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები პირადად დაათვალიერა.**

## თავს დაესხნენ „ლუკოილს“

**ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიცია ავტოგასამართ სადგურ „ლუკოილზე“ მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმასთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს. შემთხვევა 3 აპრილს, გვიან ღამით მოხდა.**

**დაცვის პოლიციაში სიგნალი „განგაში“ დაახლოებით 01:00 საათზე შევიდა. დაკავების ჯგუფის ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ავტოგასამართ სადგურში შეიჭრა ორი შეიარაღებული პირი, რომლებმაც ოპერატორ გ.ჩაველიშვილს იარაღის მუქარით წაართვეს ფული. საგანგაშო ღილაკი ოპერატორმა მხოლოდ ბოროტმოქმედთა შემთხვევის ადგილიდან მიმალვის შემდგომ გამოიყენა.**

**ადგილზე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია და ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს №2 განყოფილების თანამშრომლები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

# სიმართლის „შადრევანი“

სახალხო დამცველს ჰქონდა აბსოლუტური კანონისმიერი საფუძველი, მოეთხოვა შემოწმებისათვის საჭირო ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნებისმიერი სახის დოკუმენტი ხელმისაწვდომია სახალხო დამცველისათვის, მათ შორის საიდუმლოს შემცველი დოკუმენტებიც



ხმა ერის გასაგონად

# ლევან თარხნიშვილი – ნაციონალების სიყალბის სახე

## საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება

**საქართველოს სახალხო დამცველს გაუმართლებლად მიაჩნია 2008 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 129[8] მუხლი — საქართველოს პარლამენტის 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებული სპეციალური რეგულირებები, მე-10 პუნქტში შესული ცვლილება №6013, რომლის თანახმად საქართველოს სახალხო დამცველს აეკრძალა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ვიდეოთვალის მიერ ჩაწერილი მასალის გამოთხოვა.**

სახალხო დამცველის აზრით, კანონში ამგვარი მუხლის არსებობა ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და პირდაპირ უჭრის გზას სახალხო დამცველს შეისწავლოს ვიდეოთვალის მიერ გადაღებული მასალა და საზოგადოებას ამცნოს სიმართლე არჩევნების პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა კანონპროექტი „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს გაუგზავნა ის შენიშვნები, რომელიც მას გააჩნდა აღნიშნულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და რომლებიც სახალხო დამცველის აზრით ასახული უნდა ყოფილიყო საარჩევნო კოდექსში. აღნიშნულ წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული:

**„კოდექსს ემატება 129[8]-ე მუხლი, რომელთან დაკავშირებითაც მიგვაჩნია, მართებული იქნებოდა ვიდეოთვალის ჩანაწერის მოთხოვნის უფლება ჰქონდეს სახალხო დამცველსაც. ჩანაწერის 15 წუთიან მონაკვეთებად დაყოფასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ აღნიშნული დრო არ არის საკმარისი, რადგან შესაძლებელია დარღვევა განგრძობით ხასიათს ატარებდეს. ასევე განისაზღვროს, რომ ვიდეოთვალი ისე უნდა დამონტაჟდეს, რომ ხდებოდეს მნიშვნელოვანი ადგილების და პირების გადაღება (ნაკადის მარეგულირებლის, რეგისტრატორის, საარჩევნო ყუთის და ა.შ.)**

**მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნება, ავტომატურად იყოს სავალდებულო ვიდეოთვალით გაკეთებული ჩანაწერის ნახვა, თუ საჩივრის ავტორი მიუთითებს დარღვევის ჩადენის დროის ზუსტ მონაკვეთს.“**

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა არა თუ გაიზიარა სახალხო დამცველის შენიშვნები, არამედ სახალხო დამცველისთვის ხელმიუწვდომელი გახადა ვიდეოთვალის მიერ გადაღებული მასალა.

* * *

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 15 იანვარს სახალხო დამცველმა მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ლევან თარხნიშვილს და 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს უბნებზე ვიდეოთვალის მიერ გადაღებული ჩანაწერი მოსთხოვა.

როგორც ცესკოს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილმა ცსკ-ის სხდომაზე განაცხადა: **„ვიდეოთვალი, რომელთაგან ერთი მიმართული იქნება საარჩევნო ყუთისკენ, ხოლო მეორე ბიულეტენების გამცემი რეგისტრატორის მაგიდისკენ, საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები, აგრეთვე სასამართლო დავის შემთხვევაში დამატებით მტკიცებულებად გამოდგება“. (ამონაწერი ცსკ-ის სხდომის ოქმიდან №45. 25.11.2007 )**

ამ განცხადების მიუხედავად, 21 იანვარს ლ.თარხნიშვილმა სახალხო დამცველს უპასუხა, რომ შეუძლებელი იყო ვიდეოჩანაწერების გადმოწერა, რაც მტკიცებულების შექმნის ერთადერთი საშუალებაა და მათი ნახვა მხოლოდ ცესკოში იყო შესაძლებელი. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ჩანაწერების ნახვის საშუალება არც ცესკოში მიეცათ.

მხოლოდ ორი თვის, დროის შეგნებულად გაყვანის შემდგომ, როდესაც უარის ყველა მიზეზი ამოიწურა, 2008 წლის 10 მარტს ცესკოს თავმჯდომარემ სახალხო დამცველს უპასუხა, რომ ერთი კვირის განმავლობაში გადასცემდა გამოთხოვილ მასალას. ფორმალური თანხმობის მიუხედავად, გადმოწერის პროცესის დროს, ცესკოს თანამშრომლები სრულიად შეგნებულად ქმნიდნენ სხვადასხვა დაბრკოლებებს, რათა მასალის გადმოწერა შეფერხებულიყო.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შემთხვევით შერჩეული 12 უბნის მასალა გადმოწერეს და მათი შესწავლა დაიწყეს, დანარჩენი უბნების გადმოწერაზე მტკიცე უარი განუცხადეს.

ხოლო 2008 წლის 21 მარტს კანონში მიღებული ცვლილების შედეგად საქართველოს სახალხო დამცველი ვეღარ შეძლებს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ვიდეოთვალის მიერ გადაღებული ჩანაწერების გამოთხოვასა და შესწავლას.

* * *

**„საქართველოს საარჩევნო კოდექსიძ, 129[8] მუხლი - „საქართველოს პარლამენტის 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებული სპეციალური რეგულირებები“, მე-10 პუნქტი:**

> **10. არჩევნების პროცესში დარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვიდეოდაკვირვების და ჩაწერის საშუალებები ე.წ. ვიდეოთვალი. ვიდეოთვალის ჩანაწერის მონაცემები არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიაში განთავსებული ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნა შეუძლია საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირს, რომელიც ვალდებულია, წარდგენილ განცხადებაში (საჩივარში) მიუთითოს ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნისა და დარღვევის დაფიქსირების ზუსტი დროის თაობაზე. აღნიშნული განცხადების (საჩივრის) წარმდგენს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ 15-წუთიანი ინტერვალის ჩანაწერის გაცნობა კონკრეტული დროის და დარღვევის მითითებით. განცხადება (საჩივარი) ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ განუხილველი დარჩება, თუ განცხადება (საჩივარი) არ იქნება წარდგენილი ამ პუნქტით დადგენილი წესით. განცხადების (საჩივრის) წარმდგენ პირს ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების (საჩივრის) განხილვისას, აგრეთვე სასამართლოში დავის განხილვის შემთხვევაში.**

## სახალხო დამცველმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა

**2008 წლის 20 მარტს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს ლევან თარხნიშვილს და მოითხოვა, გადმოეცა ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური, დამატებითი სიების და ამორჩეველთა სიის დანართის ასლები — წალკის, ახალგორის, ნინოწმინდის, ქარელის, ხარაგაულის, წალენჯიხის, მარნეულისა და ასპინძის საარჩევნო ოლქის უბნებიდან.**




27 მარტის წერილით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უარი უთხრა სახალხო დამცველს დოკუმენტების გადაცემაზე და მიუთითა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 29-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუკი ცესკო გადაწყვეტს დალუქული პაკეტების გახსნას და ამომრჩეველთა სიების ხელახალ გადათვლას.

ის არგუმენტი, რომ სიები დალუქულია და ამ მიზეზით ვერ მოხდება მათი გადმოცემა, არ არის დამაჯერებელი, რადგან სახალხო დამცველს ორგანული კანონით აქვს ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციის მიღების უფლება, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ინახება ეს ინფორმაცია შესაბამის დაწესებულებაში.

კოდექსის მიხედვით საარჩევნო დოკუმენტაციას წარმოადგენს — საარჩევნო კომისიებში შემოსული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ამომრჩეველთა სიები, ამომრჩევლის ბარათები და სხვა დოკუმენტაცია.

სახალხო დამცველს ჰქონდა აბსოლუტური კანონისმიერი საფუძველი, მოეთხოვა შემოწმებისათვის საჭირო ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნებისმიერი სახის დოკუმენტი ხელმისაწვდომია სახალხო დამცველისათვის, მათ შორის საიდუმლოს შემცველი დოკუმენტებიც. („სახალხო დამცველის შესახებ) საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტიძ.

ამდენად, მოთხოვნილი ინფორმაცია საიდუმლოს შემცველიც რომ იყოს, რა სამართლებრივი ფორმით გადაწყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია სახალხო დამცველისთვის მის მიწოდებას, შიდაუწყებრივი საკითხია, მისი რეგულირება მთლიანად მათ კომპეტენციას განეკუთვნება და ის დაუბრკოლებლად უნდა გადაეცეს სახალხო დამცველს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ახორციელებს რა სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ცესკოში, ვალდებულია, სახალხო დამცველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, რომელიც ადმინისტრირებას არის დაქვემდებარებული.

აქედან გამომდინარე, 2008 წლის 10 აპრილს, სახალხო დამცველმა ცესკოს თავმჯდომარეს ლევან თარხნიშვილს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი ითვალისწინებს ჯარიმას 800-დან 2000 ლარამდე, ამასთან დაკისრებული ჯარიმა არ ათავისუფლებს ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.

* * *

**უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი იგივე ინფორმაციას ცესკოდან 2008 წლის იანვრიდან ითხოვდა, თუმცა, სახალხო დამცველმა მაშინაც უარი მიიღო.**



### როცა გული გულობს...

# სანდრიკა ინსპექტორი, კუკარაჩა და... ორი დათო

***სამოციანი** წლების ნაძალადევი გამახსენდა. ჩვენს, საკმაოდ მაღალი ღობით შემორაგული ეზოს კუთხეში მიყუჟულ რკინის მაგიდაზე დილიდან საღამომდე რაკარუკი გაუდიოდა კამათელს, ჭახუნობდა დომინოს ქვები, ასფალტზე ბზრიალებდა აბაზიანები — „სტენკა“-„პაჟარას“ თამაშში. ისმოდა გაუთავებლად დავი-დაუბასე და ვინ მოთვლის კიდევ... მთელი უბნის ყომარბაზები აქ იკრიბებოდნენ. როდესაც სკოლიდან დავბრუნდებოდით, ისინი მორიდებულად ხმას უკლებდნენ, ზოგიერთი თამაშსაც წყვეტდა, ზოგი აზარტში შესული მაინც ბოლომდის შემორჩებოდა მაგიდას. ჩვენ, ყველაზე სანდონი „ატანდაზე“ ვიდექით. რატომ? მთელ უბანში თავზეხელაღებულ ყოჩებსა და ყომარბაზებს ღმერთის რიდის შემდეგ, ყველაზე მეტად სანდრიკა ინსპექტორის ეშინოდათ. ომგამოვლილი სანდრო ძია განუყრელი კაბურით და იღლიაში ამოდებული გაქუცული ტყავის საქაღალდით, რომ გამოჩნდებოდა ქუჩის თავში, უბანში ბუზის გაფრენას გაიგებდით. დაივლიდა ყველა ოჯახს, სადაც პატარები ვცხოვრობდით, გამოიკითხავდა ყველაფერს, ზოგს დაგვტუქსავდა, ზოგსაც თავზე ხელს გადაგვისვამდა, გაშინაურებულ ოჯახებში ჭიქა ღვინოზეც არ ამბობდა უარს. შევსწრებივარ იმასაც თუ როგორ სათითაოდ გაიკრიფებოდნენ ჩვენი „შავები“ ეზოდან. ზოგი ღობეზეც ხტებოდა. ასეთად დარჩა ჩემი ბავშვობის მოგონებებში „სანდრიკა ინსპექტორი“.*

შემდეგ, როდესაც შავმა სამყარომ იმძლავრა, ბავშვთა მენტალიტეტი მათკენ გადაიხარა და თითქმის ყველა მესამეს „კანონიერი ქურდობა“ სურდა. უბანის ინსპექტორის როლიცა და სახელდიდებაც დაეცა. სულზე მოუსწრო ახალგაზრდობას ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩამ“. ფილმმა ხომ სულ ასოთხმოცი გრადუსით შეცვალა ახალგაზრდობის შეხედულება. მახსოვს სტუდენტობის დროინდელი საუბრები, როცა უმეტესობის სიმპათია კუკარაჩასკენ იხრებოდა და არა მურტალოსკენ. ისევ ამაღლდა უბნის ინსპექტორის ცენზი, ისევ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ბოლო ხანებში „პატრულმომრავლებულ“ თბილისში აღარც კი ვიცოდი უბნის ისპექორის ინსტიტუტი თუ არსებობდა და...

გამომცემლობიდან გამოსახლებულები იქვე ძველ თბილისურ ეზოში შევიყუჟენით ახლობლის ბინაში. რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა სიმპათიური ყმაწვილი შემოვიდა ეზოში, პატარა გოგონებთან მდგარ ქალბატონს გამოელაპარაკა, ბავშვებს მიეფერა, დაარიგა და ჩვენთან შემოვიდა.

— გამარჯობათ, უბნის ინსპექტორი დავით გეთიაშვილიო, გაგვეცნო და პაწაწკინტელა ოთახში შეყუჟულ ამდენ ადამიანს, რომ მოგვკრა თვალი, თავი გადაიქნია.

ვინმე ხომ არ გაწუხებთ, რითი შეგვიძლია დაგეხმაროთო და ცოტაოდენი საუბრის შემდეგ დაგვტოვა. იმ დღიდან მოყოლებული ხშირად გვსტუმრობდა. ერთ დილითაც როდესაც რედაქციაში მისულებს ფანჯარაზე აკრული ბადე დამწვარი და ფანჯრის ჩარჩო დანახშირებული დაგვხვდა, მეზობლის ქალბატონმა გვითხრა ღამით ბავშვებს წაუკიდნიათ ცეცხლი და თავად ძლივს ჩააქრია. ორიოდე დღის შემდეგ შესასვლელ კარში ვილაცას გასაღები ჩაუტეხია — ეტყობა კარის გაღებას ცდილობდა. დიდი წვალების შემდეგ ძლივს რომ შევედით ოთახში, მაშინღა გაგვახსენდა უბნის ინსპექტორი. ხუთ წუთში ჩვენთან გაჩნდა.

რამოდენიმეჯერ საღამოთი, ან გვიან შებინდებულზეც დაგვინახავს, როგორ შემოდიოდა ეზოში და ჩვენს სარკმელს გარედან ათვალიერებდა თავის თანაშემწესთან ერთად. მოკლედ მფარველი გამოგვიჩნდა. ვიფიქრეთ ასეთ ღვთისნიერ კაცზე იქნებ პატარა ჩანახატი გავაკეთოთ, მაგრამ თავიდან იუარა.

ვერის უბანი ერთ-ერთი ძველი უბანია თბილისში, ყოველთვის უამრავი ხალხით სავსე და ამიტომაც მეტად რთული მისახედი. ძირძველ ვერელებს, ქალაქის სტუმრებს, უცხოელებს, სტუდენტებს, უამრავი საღლეღამისო კაფე-რესტორნებს შესეული ხალხიც ემატება და ღღედაღამ სკასავით ფუთფუთებს ეს ლამაზი უბანი. მისახედადაც საკმაოდ რთულია. ამიტომაც ორმაგი დატვირთვით უწევთ მუშაობა წესრიგის დამცველებს. მათ შორის დავით გეთიაშვილსა და მის თანაშემწეს დავით გოგიშვილს.

დავითი ლეიტენანტია, მისი თანაშემწე უმცროსი ლეიტენანტი. ორივე უმაღლესი განათლებითაა, მაგრამ ძალოვან სტრუქტურებთან (სადაც რამდენიმე წელია მსახურობენძ მათ ძველ პროფესიას საერთოდ შეხება არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უბნის ინსპექტორთა მომზადების საბაზისო კურსები გაიარეს და შარშან ნოემბერში ძველი თბილისის უბნის პოლიციის მესამე ქვეგანყოფილებაში დაიწყეს მუშაობა. მათი „სამფლობელო“ ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან იწყება და ჭოველიძის ქუჩამდე გრძელდება, მათ ეკუთვნით ზემო ვერაც.

**— მეტად რთული პროფესია აგირჩევიათ,** — ვიწყებ საუბარს და წინასწარ ვემზადები უბნის ინსპექტორთა მძიმე ცხოვრების ისტორიების მოსასმენად.

— სხვათა შორის, არც ისე რთულია, ალბათ ამაში უბანიც გვიწყობს ხელს, მოსახლეობა, მიუხედავად იმისა რომ მრავალეროვანია, სხვადასხვა ტრადიციებით, ცხოვრების წესითა და ადათით, ძირძველ უბნელებად ითვლებიან, ერთმანეთის გატანა და სიყვარული იციან, თითქმის ყველა ერთმანეთს ცნობს, ასე რომ კონფლიქტური სიტუაციები იშვიათია. ისე ყველა უბანშია პატარა წაკინკლავება, მაგრამ ისეთი რომ კრიმინალში გადაიზარდოს იშვიათია. ძველი თბილისური ეზოებია. მართალია დიდი ხანი არ არის რაც აქ ვმუშაობთ, მაგრამ თითქმის ყველა ოჯახს ვიცნობთ, ვიცით ვინ რითი ცხოვრობს და რითი სუნთქავს.

**— ალბათ ამ უბნელები ხართ და ამიტომაც ნაკლები პრობლემები გაქვთ მოსახლეობასთან.**

— მე ვაზისუბნელი ვარ, დათო კი მუხიანელია, — ელიმება დავით გეთიაშვილს, — მაგრამ ისე შევეჩვიეთ აქაურობას, რომ დასვენების დღეებშიც გამოვდივართ. ისე ძველ დროსთან რა შედარებაა, ახალგაზრდები უფრო თამამები არიან ვიდრე ადრე იყო, ყოყლოჩინები, მაგრამ არა უშავს დაღვინდებიან.

კარგა ხანს ვსაუბრობთ, ვატყობ რომ ორივე დიდი სიყვარულითაა განმსჭვალული ჯერ თავიანთი პროფესიის, შემდეგ კი უბნის მიმართ. ცდილობენ ყველანაირ სიტუაციას კეთილი გამოსავალი შეუთავსონ, ადამიანებში უარყოფითის ნაცვლად დადებითი ეძებონ. უკვე ერთმანეთთან გავშინაურდით და კურიოზებზეც გადადიან.

— ერთ-ერთი ჩიხიდან ღამით კამათის ხმა მომესმა. ორი სილუეტი დავლანდე, გოგო და ბიჭი იყვნენ. სანამ მივუახლოვდებოდი ბიჭმა გამეტებით გააწნა სილა გოგოს. ხელი დავუჭირე. რომ დამინახეს პოლიციელი ვიყავი, გოგო თავად გადმოვიდა იერიშზე, გამომლანძღა, ვინ გეკითხება ჩვენს საქმეში რომ ერევი, ჩემი შეყვარებულია და უფლება აქვს მცემოსო, სახტად დავრჩი, ერთმანეთს ხელი გადახვიეს და გამეცალნენ, — სიცილით ყვება დავით გეთიაშვილი.

— მე კი, განყოფილებაში მთვრალი ზანგები დამხვდნენ, თბილისელ ბიჭებთან მოსვლიათ ჩხუბი, საერთოდ მგონი მთელ საქართველოში არ ცხოვრობს იმდენი ზანგი, რამდენსაც ჩვენს უბანში აქვთ ბინა ნაქირავები. ჩინელებიც მრავლად არიან. ჩვენ ხალხს ვერ უშოვია სამუშაო და ესენი რას აკეთებენ არ ვიცი, — ეს უკვე დავით გოგიშვილია, რომელიც აქამომდის ჩუმად უგდებდა ყურს თავისი უფროსისა და ჩემს საუბარს.

ოჯახს შევეხეთ, მატერიალურ ანაზღაურებას, ცხოვრებისეულ პრობლემებს. დავით გეთიაშვილს ახალგაზრდა ოჯახი აქვს, მეუღლესა და ორწლინახევრის გიორგის რჩენა არ უჭირს, საკმარისი ანაზღაურება მაქვსო ამბობს. დავით გოგიშვილი ჯერჯერობით დაუოჯახებელია.

**— ინგასა და მურტალოს სიტუაციები ხომ არა გაქვთ უბანშიო,** — სიცილით ერთვება საუბარში ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რუსია.

— კუკარაჩასა და ინგას ურთიერთობა ნამდვილად არა, მაგრამ მურტალოსა და ინგას სიტუაციას კი მივაგენი მგონიო, — ელიმება უბნის ინსპექტორს. ერთმანეთს ვემშვიდობებით. ბიჭები იმედს გვაძლევენ პრობლემები არ გექნებათო და წარმატებებს გვისურვებენ. ჩვენი მხრიდანაც დაუძაბავ და უსაფრთხო მუშაობას ვუსურვებთ.

თვალი გავაყოლე, ისე ამაყად მიუყვებიან ქუჩას მიხვდებით რომ შინაურები არიან უბნისთვის, უბნელების მხრიდანაც სიყვარულს გრძნობენ. ბევრს ეშინია, ზოგს რიდი აქვს, უფრო მეტს სიყვარული, ბევრმა ალბათ არც იცის, რომ როდესაც ტკბილი ძილით სძინავთ ორი დათო ინსპექტორი დილამდე დადის ვერის უბანში და მათი ოჯახების უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

**მამუკა ვაშაკიძე,**

**სურათზე:** დავით გეთიაშვილი (მარცხნივ) და მისი თანაშემწე დავით გოგიშვილი.

### ინფორმაცია

## სესხს კომპანიებზეც გასცემენ

**საქართველოს** მუნიციპალური განვითარების ფონდი პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული თანხიდან შპს „ქუულზონ პლიუსისთვის“ 1 500 000 ლარის სესხის გაცემას უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 8 აპრილის №202 განკარგულების თანახმად, მუნიციპალური განვითარების ფონდი 2 000 000 ლარის ოდენობის სესხის გაცემას უზრუნველყოფს ასევე შპს „ქართული არომატების კომპანიიისთვის“.

ფონდი „რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების“ ქვეპროგრამებისთვის გათვალისწინებული თანხებიდან 800 000 ლარის სესხს გასცემს შპს „ბრეტზე“, შპს „მამული 2006-ზე“ კი — 1 800 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

პროცენტი სესხის გაცემისთანავე დაირიცხება, ხოლო მათი გადახდა ერთი წლის შემდეგ დაიწყება. სესხის ძირითადი თანხის გადახდა სესხის გაცემიდან 12 თვის თავზე უნდა დაიწყოს. სესხებით სარგებლობის ვადა 7 წელს შეადგენს.

## პურის ფასი არ მოიმატებსო

**საქართველოში** პურის ფასის მატება მოსალოდნელი არ არის.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში წარმატებული მოლაპარაკების შედეგად, საქართველოში 80 ათას ტონაზე მეტი ხორბლის



მარცვალია იმპორტირებული, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ შემოდგომის ჩათვლით ქვეყანაში პურის მოთხოვნაზე არც დეფიციტი შეიქმნება და არც ფასი მოიმატებს.

ინტერპრესნიუსი

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ უარყო ფართოდ გავრცელებული განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს მან რეიტერის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, პოლონეთის ვეტოს გაუქმება ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებაზე



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# იფიქრეთ მილებზე და არა რაკეტებზე

თუ პროპაგანდას დავუჯერებთ, ამერიკა და მისი ევროპელი მოკავშირეები დიდ სამუშაოს ასრულებენ ერთიანი და თავისუფალი ევროპის უსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინას დაჰპირდნენ მომავალში ამ ორგანიზაციაში გაწევრებას (კონკრეტული თარიღის მიუთითებლად) და მოიწონეს ამერიკის გეგმები ანტისარაკეტო თავდაცვის შეზღუდვის სისტემის შესახებ პოლონეთსა და ჩეხეთში.

მაგრამ რეალობა რამდენადმე განსხვავდება ამ სურათისგან. ჯორჯ ბუშის მცდელობამ შეალამაზოს თავისი საპრეზიდენტო მემკვიდრეობა, მკაცრი კამათი გამოიწვია. ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა ძველი ევროპიდან მიიჩნევს, რომ ამერიკა მათ თავს ახვევს ნაჩქარევ წინადადებას გაფართოების შესახებ. აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას ეშინოდა, რომ ალიანსში ჩნდება რუსეთის საწინააღმდეგო ბანაკი გერმანიის ხელმძღვანელობით. ამავე დროს ბუშისა და პუტინის სოჭის შეხვედრის შემდეგ სასიამოვნო ტონი შეცვალა რეალური მოლაპარაკებების უქონლობამ.

მაგრამ სინამდვილეში ეს არ აღელვებს ევროპას. მოხმარებული გაზის მეოთხედს იგი ღებულობს რუსეთიდან და ეს წილი უნდა მკვეთრად გაიზარდოს. კრემლი იყენებს თავის მონოპოლიას აღმოსავლეთ-დასავლეთ მილსადენზე და იძლევა საგაზო კონტრაქტების ხელსაყრელ წინადადებას, რითაც ერევა ევროპის საგაზო ბიზნესში. თავისი ისეთი მეგობრების წყალობით, როგორიცაა გერმანია, იგი ბლოკავს ევროპის ბაზრებისა და მიწოდების დივერსიფიკაციის ლიბერალიზაციის მცდელობებს.

ამას გარდა რუსეთი აჩქარებს ნავთობსადენის — „სამხრეთი ნაკადი" პროექტს, რომლის ღირებულებაა 15 მილიარდი დოლარი და მიზნად ისახავს გაზის მიწოდებას ცენტრალური ევროპისათვის შავი ზღვის ფსკერით და ბალკანეთის გავლით. მასში მონაწილეობს ევროკავშირის სამი სახელმწიფო — ბულგარეთი, უნგრეთი და იტალია, ინტერესს ამჟღავნებს ავსტრიაც. ეს ასუსტებს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატივის — ნაბუკოს ნავთობსადენის მხარდაჭერის შანსს, რომლის მშენებლობაც უკვე ნაწილობრივ შევიდა ჩიხში რუსეთის მცდელობის გამო. აგრეთვე იმიტომ, რომ ირანიდან გაზის მიწოდება პოლიტიკური მიზეზების გამო შეუძლებელია.

ენერგეტიკული უსაფრთხოების დარგში პერსპექტივები ოპტიმიზმს არ იძლევა, მაგრამ ევროკავშირს შეეძლო თავისთვის დახმარების გაწევა სამი გზით. ჯერ ერთი, უფრო ენერგიულად შეუწყოს ხელი ნავთობსადენის პროექტის წინ წაწევას, რითაც შეამცირებს რუსეთის ძალას აღმოსავლეთში. უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ დღის სინათლე იხილოს ნაბუკომ. მაგრამ პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა იყოს აგრეთვე უზრუნველყოფილი უიტსტრიმის პროექტისა, რომელიც არის ორიგინალური მილსადენი მცირე დიამეტრისა, რომელიც მიზნად ისახავს კასპიის გაზის მიწოდებას შავი ზღვით ევროპაში თურქეთის გვერდის ავლით. ამას გარდა დასავლეთისათვის უკვე ხელმისაწვდომია ნავთობ-და გაზსადენები, რომლებიც მიდის კასპიის რეგიონიდან თურქეთში.

მეორე, ევროკავშირმა მკაცრად უნდა განსაზღვროს თავისი მოლაპარაკებები რუსეთთან გაზის მიწოდების შესახებ. მისი მოსახლეობა სამჯერ მეტია რუსეთისაზე. დაბოლოს, რუსეთისთვისაც ხელსაყრელია იმის გარანტიის მიცემა, რომ ცენტრალურ აზიური გაზი იყიდებოდეს ევროპაში (ე.ი. უმეტესწილად რუსეთის გავლითძ, და არა პირდაპირ მიდიოდეს ჩინეთისაკენ. ამას გარდა ევროპა ყველაზე ხელსაყრელი ბაზარია ახალი დიდი გაზის საბადოსათვის, რომელსაც რუსეთი აპირებს დაამუშაოს არქტიკაში. მის ცუდად სამართავ, ვალებში ჩაფლულ გაზის მრეწველობას მოდერნიზაციისათვის სჭირდება დასავლეთის ფული და გამოცდილება.

მაგრამ ამას გარდა, ევროპამ უნდა მოითხოვოს მეტი ლიბერალიზაცია და გამჭვირვალობა გაზის ინდუსტრიაში. კრემლს ღრმა და ლიკვიდური ბაზრის პირობებში ძნელად შეუძლია მიწოდებით მანიპულირება. „გაზპრომს" უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ინვესტირება გააკეთოს ევროპაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წესებს დაემორჩილება. ევროკავშირმა „გაზპრომთან" დაკავშირებით უნდა გამოავლინოს ისეთივე სიმკაცრე, როგორც „მაიკროსოფტთან" დაკავშირებით, დაავალდებულოს იგი გამოაქვეყნოს მისი კონტრაქტების დეტალები და ანგარიშები ისეთი ამოუცნობი კომპანია-შუამავლებისგან, როგორიცაა „როსუკრენერგო". როგორც ჩანს, ბევრი მათგანი არსებობს იმისათვის, რომ საექსპორტო მოგებები აღმოჩნდეს საიდუმლო მფლობელების ჯიბეში. „გაზპრომმა" კი გაუყოს ქვედანაყოფები, რომლებიც აწარმოებენ ტრანსპორტირებას, გასაღებასა და შენახვას, რათა უზრუნველყოს სრული ხელმისაწვდომობა მესამე მხარისათვის, როგორც ეს ევროკავშირმა აიძულა საკუთარი კომპანიები.

ეშმაკობანი გაზის ბიზნესში შეიძლება მოგვეჩვენოს ნაკლებად მიმზიდველად, ვიდრე რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიები „ვარსკვლავური ომების" სტილში. მაგრამ ევროპის ერთიანობისა და უსაფრთხოებისათვის მათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

**The Economist**

# ლეხ კაჩინსკის ნაჩხვლეტი...

**პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკის კვლავ აოცებს მსოფლიოს თავისი მოულოდნელი გამონათქვამები. გუშინ როიტერის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ მოხსნის ვეტოს რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებაზე მანამ, სანამ უკრაინასა და საქართველოს არ მიიპატიჟებენ ნატოში. ამასთან ქვეყნის მეთაურმა დაწვრილებით განმარტა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები. მოსკოვმა და ბრიუსელმა ვერ მოასწრეს ლეხ კაჩინსკის სიტყვების კომენტირება, რომ მან განაცხადა — მას სწორად ვერ გაუგეს და ამაში ბრალი დასდო კორესპონდენტს, რომელიც შეეცადა „მოეპოვებინა" სენსაციური ინფორმაცია.**

შეგახსენებთ, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტზე განიხილებოდა უკრაინისა და საქართველოს მიერთების საკითხი ალიანსის წევრობასთან დაკავშირებით. ამას დაჟინებით მოითხოვდა ვაშინგტონი, მაგრამ ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ დაბლოკა ეს ინიციატივა და მიიჩნია, რომ საქართველო და უკრაინა არ უპასუხებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებს: შესვლის კანდიდატების ტერიტორიებზე არ უნდა იყოს შინაგანი და რეგიონალური კონფლიქტები, ხოლო ქვეყნის მოსახლეობა უნდა იწონებდეს მთავრობის მოქმედებებს. საქართველოს სერიოზული კონფლიქტები აქვს ულიარებელ რესპუბლიკებთან, უკრაინაში კი საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა. ამასთან სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ უკრაინელთა უმეტესობას არ სურს ალიანსის წევრობა.

მაგრამ როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, პოლონეთის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ბუქარესტის სამიტის შედეგები უმთავრესად განსაზღვრა მოსკოვმა. „მხოლოდ პოლიტიკურად ცუდად ინფორმირებულ ხალხს შეეძლო ეფიქრა, რომ ნატოსთან საქართველოსა და უკრაინის მიერთების გეგმასთან არავითარ კავშირში არ არის რუსეთის წინააღმდეგობა", — მოჰყავთ ლეხ კაჩინსკის ციტატა.

ხოლო როდესად უპასუხებდა შეკითხვას იმის შესახებ, არის თუ არა პოლონეთი მზად მოხსნას ვეტო რუსეთისა და ევროკავშირის მოლაპარაკებაზე დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში, ლეხ კაჩინსკიმ უპასუხა: „ჩვენ, რასაკვირველია, უნდა მოვილაპარაკოთ, რასაკვირველია უნდა შევქმნათ ატმოსფერო, რომელიც დაგვეხმარება უნდობლობის შემცირებაში. ჯერ მე მსურდა გამეგო, როგორ გადაწყდება საქმე საქართველოსა და უკრაინის შეერთების შესახებ ნატოს ალიანსთან".

ამ განცხადებიდან როიტერმა გააკეთა ლოგიკური დასკვნა, რომ პრეზიდენტი კაჩინსკი პირდაპირ უკავშირებს პოლონეთის მხრიდან ვეტოს მოხსნას რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებისათვის უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხს. ესე იგი, ფაქტობრივად, ვარშავა უყენებს ულტიმატუმს არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებსაც, რომლებმაც დაბლოკეს კიევისა და თბილისის ინტეგრაციის დაწყება ალიანსში.

პირველ რიგში საქმე ეხება საფრანგეთსა და გერმანიას, რომლებიც ყველაზე თანმიმდევრულად გამოვიდნენ ნატოს გაფართოების წინააღმდეგ საქართველოსა და უკრაინის ხარჯზე.

რასაკვირველია, პოლონეთის ლიდერის მხრიდან ასეთი დემარში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სახელმწიფო დუმამ ლეხ კაჩინსკის პოზიცია შეაფასა, როგორც „სკანდალური და აზრს მოკლებული". თავისი განცხადებით, მიაჩნია სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის მეთაურს კონსტანტინ კოსაჩოვს, ლეხ კაჩინსკი მხოლოდ ადასტურებს ექსპრესიული და შეუცნობადი პოლიტიკოსის რეპუტაციას. „არ არსებობს იურიდიული საფუძვლები დავუკავშიროთ ერთმანეთს რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები და რუსეთისა და ნატოს ურთიერთობები", — ხაზგასმით აღნიშნა კოსაჩოვმა.

აი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ლეხ კაჩინსკის განცხადებას მოულოდნელი თავშეკავებით მოეკიდა. „რუსეთი დაინტერესებულია დაიდოს ხელშეკრულება ევროკავშირთან იმდენადვე, რამდენადაც თავად ევროკავშირი. ამიტომ როცა ევროკავშირი მზად იქნება ასეთი ხელშეკრულების დასადებად, მზად იქნება რუსეთიც. თუ ბრიუსელში მიაჩნიათ ბუნებრივად, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანა უნდა უსმენდეს თავის ლიდერს, მაშინ ასეთია ევროკავშირის პოლიტიკაც და რუსეთის საქმე არ არის რაიმე კომენტარი გაუკეთოს ამ ამბავს", — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ანდრეი კრივცოვმა.

ბრიუსელმა კი ოფიციალური კომენტარებისაგან საერთოდ თავი შეიკავა. მაგრამ, ანალიტიკოსების აზრით, ლეხ კაჩინსკის პიროვნულად ურჩიეს დაუყოვნებლივ შეარბილოს თავისი რიტორიკა, თუმცა ამის გაკეთება პოლონელი პოლიტიკოსისათვის შეუძლებელი იყო. შედეგად პოლონეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი სიტყვები სწორად ვერ გაიგეს.



„გუშინ როიტერის სააგენტოს წარმომადგენელი ცდილობდა, ებიძგებინა ჩემთვის დამემტკიცებინა, რომ მე თანასწორობის ხაზს ვავლებ რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებებსა და უკრაინისა და საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ შეთანხმებას შორის. მაგრამ ასეთი პასუხი მან ჩემგან ვერ მიიღო", — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა. „ჩვენს საუბარში ასეთი ფორმულირება არ ყოფილა. მე ვთქვი, რომ ამჟამად ჩვენ ამის შესახებ უნდა დავფიქრდეთ. ასეთი იყო ჩემი განცხადების შინაარსი. მეტს ამას მე ვერაფერს დავამატებ", — აღნიშნა ლეხ კაჩინსკიმ.

ოლგა პორტნოვა

**Daily Telegraph**

# პოლონეთის პრეზიდენტი: მე არასწორად გამიგეს

**პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ უარყო ფართოდ გავრცელებული განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს მან რეიტერის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, პოლონეთის ვეტოს გაუქმება ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებაზე იმის გამო, რომ უარი უთხრეს საქართველოსა და უკრაინას შეერთებოდნენ ნატოს წევრობის მოქმედების გეგმას, იუწყება „ნიუსრუ კომ". კაჩინსკი ამჟამად იმყოფება ჰელსინკში. იუწყება იტარ-ტასი. მან აღნიშნა, რომ მისი სიტყვები ამ საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარად ჟღერს. „არა, იქ არ ყოფილა ასეთი ფორმულირება. მე ვთქვი, რომ ამ მომენტში უნდა ვიფიქროთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ასეთი იყო ჩემი განცხადების შინაარსი. ამის მეტს ამ საკითხზე ვერაფერს დავუმატებ", — განაცხადა კაჩინსკიმ.**

აღვნიშნავთ, რომ კაჩინსკის განცხადებამ, რომელიც გამოაქვეყნა „როიტერმა", ფუროორი მოახდინა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღშფოთდა, სახელმწიფო დუმამ პოზიციას უწოდა „უაზრო და აბსურდული". პოლონეთის პრემიერის აპარატში დონალდ ტუსკამ საერთოდ უარიც თქვა მის კომენტირებაზე, აღნიშნა მხოლოდ, რომ ტუსკი ჯერ არ არის ამასთან დაკავშირებით „ინფორმირებული".

მხოლოდ ევროკომისიაში მოახდინეს რეაგირება შედარებით მშვიდი ტონით, განაცხადეს, რომ მანდატი მოლაპარაკებებზე მიღებული იქნება უახლოეს დროში.

2007 წლის დეკემბერში გაუვიდა ვადა რუსეთსა და ევროკავშირს შორის წინა ხელშეკრულების მოქმედებას. ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა გადაიდო რუსეთსა და პოლონეთს შორის უთანხმოების გამო. ამ უკანასკნელმა ვეტო დაადო ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებს.

**РОСБАЛТ**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №109



**● მაშინვე ძველმა სურვილმა გამახსენა თავი... პირველი, ვინც გავაცოცხლე, იყო მერი“...**

*მხატვარი მაშინვე დათანხმდა. როგორც თავად იგონებს, ამ სახეზე დიდიხანია ფიქრობდა...*

***„პირველად იოსებ იმედაშვილის რედაქციაში გავიცანი გალაკტიონ ტაბიძე. იოსებმა პირველად დაბეჭდა მისი, დღეს უკვე ყველასთვის ცნობილი ლექსი „მერი“... ამ ჟურნალის ფურცლებიდან პირველად გავიცანით გალაკტიონის ლექსის მუსიკა...***

***„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,***
***მერი იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა...***
***სანდომიან ცის ელვა და ფერი***
***მწუხარე იყო, ვით შემოდგომა...“***

***ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ მუდამ თან მდევდა სურვილი, წარმომედგინა ამ ქალის სახე...***

***საზღვარგარეთიდან ჰოლანდიური პასტელი „რუბენსი“ და ზეთის საღებავები მივიღე. სიმართლე გითხრათ, მანამდე თვალითაც არ მენახა ეს საკვირველი ფერები. ერთხანს ხელში აღებაც ვერ გავბედე. შემდეგ გადავწყვიტე მათი გამოყენება შავ ქაღალდზე და მოხდა საოცრება! ვიპოვე რაღაც ახალი... მაშინვე ძველმა სურვილმა გამახსენა თავი... პირველი, ვინც გავაცოცხლე, იყო მერი“...***

გუდიაშვილის „ძველი სურვილი“ – პასტელში შესრულებული „მერი“ ერთ-ერთ მის ყველაზე საუკეთესო ალბომ-კატალოგშია რეპროდუქცირებული (ლენინგრადი, გამომცემლობა „ავრორა“, 1983 წელი). ნამუშევარი 1973 წლითაა დათარიღებული.

ქალბატონ **ბაბო დადიანის** მოგონებაზე დაყრდნობით კი ლადო გუდიაშვილს „მერი“ ჯერ კიდევ გალაკტიონის სიცოცხლეში დაუხატავს. **იქნებ „ძველ სურვილში“ ძველი ცდა იგულისხმება?** ძნელი დასადგენია ადრინდელი „მერის“ შემდგომი ბედი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ოდესღაც არსებობდა. იყო თუ არა მეორე „მერი“ პირველის ასლი?

ზოგადად მერი შარვაშიძესა და გუდიაშვილისეული პორტრეტის ისტორიაზე ბაბო დადიანის ჩანაწერებიდან:

*მერი იყო მაღალი, არაჩვეულებრივი აღნაგობის, ღია თაფლის ფერი თვალებით და წაბლისფერი თმით. ამასთანავე საოცრად სათნო და მოკრძალებული... რუსეთის იმპერიის ყოფილი ფრეილინა... მაქვს სურათი: მერი ბორდოს ფერი ხავერდის კაბით, გულზე ბრილიანტის შიფრი – ფრეილინების ნიშანი.*

*საქართველოში რამდენიმე ქალი აცხადებდა: გალაკტიონის მუზა მე ვიყავიო. ამ თემაზე კითხვით მივმართე გალაკტიონს. მან წვერზე ხელი ჩამოისვა და ღიმილით*

# ლადო გუდიაშვილის „მერის“ ისტორიისთვის...

*„ქუთაისში ამბობდნენ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ლექსები მიძღვნა... მე მას არ ვიცნობდი“... (ბაბო დადიანისადმი მიწერილი ბარათიდან).*

*„ამბობენ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ მე მომიძღვნა ლექსი. არ არის მართალი. საერთოდ არ ვიცნობდი ტაბიძეს. არავითარი კავშირი არ მქონია მასთან“ (პარიზი, მედეა ჯაფარიძესთან საუბრისას).*

**„პოეტის სატრფოს კონკრეტული მიღება არ შეიძლება!“** – აფრთხილებს ლიტერატურის ისტორიკოსებს გალაკტიონი...

და მაინც, მიუხედავად ორმხრივი და თანმიმდევრული უარყოფისა, **მერი შარვაშიძის სახელი და გვარი მისივე ნების გარეშე, სამუდამოდ რჩება პოეტის ბიოგრაფიაში, თუმც არასწორი ტრანსკრიფციით – „შერვაშიძე“.**

რეალურად არსებული პერსონა – რუსეთის იმპერატორის ფრეილინა, კოკო შანელის მოდელი, საველი სორონისა და მან რეის ტილოებზე ასახული არაჩვეულებრივი ქალი, პარიზის კაზინოების ხშირი სტუმარი, საზოგადოებისთვის ცნობილი თავისი არისტოკრატიული დინსტანციით და ყველგან და ყოველთვის დაგვიანებით (იცოდა რომ მას მუდამ და განუსაზღვრელი დროით დაელოდებოდნენ)... იგი არა ლიტერატურულ პროტოტიპად, არამედ შესაძლოა ლიტერატურულ მეტაფორად მოვიხსენიოთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ისტორიულად არსებობა ლეგენდად არსებობას არ ეწინააღმდეგება...



რეალურია თუ ასევე ფანტაზიის ნაყოფი გალაკტიონის დღიურში აღწერილი სურათი: 1935 წელს, პარიზში, ლუვრის წინ, ბაღის გრძელ სკამზე ზის ლიტერატურულ დეკადაზე ჩასული პოეტი და სივრცეს გასცქერის... (მაინცდამაინც ლუვრის წინ)... უცებ შემთხვევით დაინახავს ნელი ნაბიჯით მოდის ულამაზესი ქალი. იცნობს: ეს მერი შერვაშიძეა, უწინდელზე უფრო მშვენიერი...

სიმართლის და გამონაგონის პროპორციები აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია ისევე, როგორც არც ერთ მემუარისტს თუ ბიოგრაფს, ზუსტი წყაროს არარსებობის გამო, არ დაუკონკრეტებია იმავე პოეტურ და გეოგრაფიულ სივრცეში მოქცეული სხვა სცენის დოკუმენტური სიზუსტე: ლუქსემბურგის ბაღის სკამზე, წვიმაში, ქოლგის ქვეშ სხედან და ფრანგულად, ხმამაღლა კითხულობენ ბოდლერს ამედეო მოდილიანი და ცხრამეტი წლის ანა ახმატოვა...

ზღვარი რეალობასა და მითს შორის არასდროსაა მონიშნული და მკითხველის წარმოსახვას, გემოვნებას და ასოციაციებს ეყრდნობა.

ვარაუდი, რომ ბლოკის, ლერმონტოვის, ბაირონის, შელის თუ ფრანგულ-ინგლისური რომანების პერსონაჟთა ანალოგიებით შეიქმნა „მერის“ სახე-სიმბოლო, გალაკტიონის ჩანაწერებშიცაა მოცემული.

გალაკტიონის დღიურები, ყოველდღიური პროზაული ჩანაწერები თავისი დანიშნულებით, სტილით, კონკრეტიკით არსებითად განსხვავდება მისივე პოეზიისგან, მაგრამ აქაც და იქაც უდიდესი სიფრთხილით და კდემით მოიხსენიებს მერი შარვაშიძეს, უფრთხილდება მის სახელს, გაუხრალოებისთვის, გამიწიერებისთვის ვერ იმეტებს. საოცარი გულუბრყვილობაც ირეკლება ზოგიერთ ფრაზაში...

***„მოჩანს სათაყვანებელი ლანდი მუდმივად სასურველი და მუდმივად მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, უსხეულო ლანდი შორეულ ქალის...“***

***„ულამაზესი ქალი მერი შერვაშიძე, როგორც ახლა, ისე წინათაც ატარებდა თავის პატიოსნებით სავსე ცხოვრებას. საშუალოდ, არც კარგად, არც ცუდად. შორიდან იგი გაგიჟებით უყვარდა ერთ ახალგაზრდა ვაჟს, მაგრამ მერი ვერ გრძნობდა ამ სიყვარულს ან გრძნობდა ძალიან ცუდად. მერი შერვაშიძე ეუბნებოდა თავის თავს: „მე გავთხოვდები უმწიკვლო, უნაკლოდ, გავთხოვდები ძალიან მალე“...***

როცა გალაკტიონ ტაბიძის სიყვარულის საგანზე საუბრობდა, მისი პოეზიის ერთ-ერთმა მკვლევარმა **მიხეილ კვესელავამ** საილუსტრაციოდ პოლ ვალერის სიტყვები მოიტანა: „ქალებისადმი ტრფიალი მან სიყვარულის იდეალებს შესწირაო“.

**„სიახლოვის სიშორე“,** დრამატირებული ურთიერთობა შორეულ, მისთვის რეალურად არასდროს არსებულ მერისთან, „როგორც შორი ხიმალდების ცქერა, ალბათ არა მხოლოდ პოეზიის საგნისთვის იყო მოცემული და გალაკტიონმა სპონტანურად თუ ხანგრძლივი ფიქრის შედეგად, არავინ იცის, მერი შარვაშიძის ფოტოსურათი **ლადო გუდიაშვილთან** მიიტანა დასახატად...



№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

**მირზა გელოვანის პოეტური ინტონაცია ყოველგვარი ძალდატანების, ორიგინალობის ძიების გარეშეც, განუმეორებელია, ძნელად მისაღწევი სისადავის და გულწრფელობის გამოც. ის ნაღდია და ამ თვალსაზრისით, გასული საუკუნის ლიტერატურული ექსპერიმენტების ეპოქაში ძნელად მოეძებნება ბადალი**



*მიპასუხა: ისე მომაბეზრეს თავი ამ ქალებმა, რომ ყველას ვეუბნები: შენ მოგიძღვენი მერი, შენ მოგიძღვენიო... მაგრამ, ქალბატონო ბაბო, მე ამ ლექსს თქვენი მერის გარდა ვერავის მივუძღვნიდიო!..*

აქვე ავღნიშნავ, გალაკტიონმა მერი ნახა ქუთაისში, ჯვრისწერაზე. მერი კი მას საერთოდ არ იცნობდა...

**ლადო გუდიაშვილმა მითხრა ერთხელ: გალაკტიონმა მომიტანა ფოტოსურათი და მთხოვა, მერი შარვაშიძის სურათი დამიხატეო...**

**ლადომ პორტრეტი საკუთარ მანერაში დახატა, მაგრამ როცა გალაქტიონს უნახავს, სასტიკად აღშფოთებულა: ეს ჩემი მერი არ არისო..**

*მე და მერი, გარდა იმისა, რომ შარვაშიძეების მხრიდან ვენათესავებოდით ერთმანეთს, მეგობრებიც ვიყავით. მერის და მისი მეუღლის - ნიკოლოზ-II-ის ფლიგელ-ადიუტანტის, გიგუშა ერისთავის, მეჯვარე იყო მამაჩემი – ნიკოლოზ (კოკი) დადიანი. ჩემი მეჯვარე მერი შარვაშიძე გახლდათ... მერი ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა ამ ორ ბედნიერ დღეს. ამაზე მწერდა კიდეც პარიზიდან.*

*მისი მეუღლე, გიგუშა ერისთავი, ემიგრაციაში მალე გარდაიცვალა...*

*ადმირალ მაკაროვის ვაჟი ყოფილა მერი შარვაშიძეზე უგონოდ შეყვარებული... როცა გარდაიცვალა ანდერძით 50000 დოლარი დაუტოვებია მერისთვის, რაც მაშინ ძალიან დიდი ფული იყო...*

*მერი 1982 წელს ვნახე პარიზში... მაშინ უკვე მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა, სადაც შესანიშნავი მომსახურებაა. მერი ცხოვრობდა დიდ, კეთილმოწყობილ ოთახში და პირადად მას მუდამ ემსახურებოდა ერთი მოსამსახურე ქალი...*

*მერი გარდაიცვალა 1986 წლის დეკემბერში, 97 წლის ასაკში, ისევ წარმოუდგენლად მშვენიერი, სრულიად საღი გონებით და მეხსიერებით.*

*გარდაცვალების ამბავი შევატყობინე კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც გადაუხადა პანაშვიდი სიონის ტაძარში... მშვენიერი მერის სულზე ქართულმა ეკლესიამ იზრუნა...*

* * *

ლადო გუდიაშვილისთვის გალაკტიონის შესაძლო რეაქცია თავიდანვე ვერ იქნებოდა განსაზღვრული, მაგრამ ვფიქრობ, არც მოულოდნელობას წარმოადგენდა.

...ცხადია, ამ სფეროში მან უფრო მეტი იცოდა, ვიდრე გალაკტიონმა... მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკური დოქტრინები ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთმანეთს არ გამორიცხავს, პოეზია და სახვითი ხელოვნება სრულიად ავტონომიურად არსებობენ და განსხვავებული ამოცანების წინაშე დგანან.

*„საერთოდ, ძნელია ნამდვილი, კარგი ილუსტრაციის შექმნა –* ***ახკვნის გუდიაშვილი*** *– სულ მახსოვს... ერთხელ გამომცემლობამ ფლობერს თურმე „სალამბოს“ ილუსტრაციებით დაბეჭდვა შესთავაზა. მწერალმა მრისხანებისგან წონასწორობა დაკარგა: „რაღა საჭირო იყო ჩემი ამდენი შრომა, თუ გამოჩნდებოდა ვიღაც, რომელიც ჩემს ოცნებას ზუსტ ჩარჩოში მოაქცევდა და მთავარს დამიმხსვრევდა.* ***ნახატში ქალი ჰგავს ქალს – ესაა და ეს. მაშინ, როდესაც წიგნში შექმნილი სახე აღვიძებს ოცნებას უამრავ ქალზე.*** *ამრიგად, რაკი ეს საკითხი ესთეტიკას ეხება, მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ნაწარმოების ილუსტრირებას“...*

არის ამაში რაღაც სიმართლე... მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ქვეყანაში უამრავი ილუსტრაციით იბეჭდება „სალამბო“.

* * *

„О, дальной Мери, светлой Мери“... – ამ სახელის ზუსტ პერსონიფიცირებას დიდხანს და უშედეგოდ ცდილობდნენ ალექსანდრ ბლოკის ბიოგრაფიის მკვლევარები...

ტიციან ტაბიძემ „მერის“ პოეტური სახე დამოუკიდებლად შექმნა, მაგრამ ქართველი მკითხველისთვის ეს სახელი როგორც განუყოფელი მთლიანობა, ასოციაციურად, მუდამ გალაკტიონის ცხოვრებას და პოეზიას უკავშირდება... ტიციან ტაბიძე:

**„წინათ უშენებდნენ ამ ქალებს ტაძრებს,**
**თავზე დამცქერის მერი შერვაშიძე,**
**გიგო დიასამიძის ჟურნალიდან ამოხეული**
**ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა“.**

გიგო დიასამიძე ცნობილი ქუთაისელი გამომცემელია, ხოლო „ურია მხატვარში“ **საველი სორინი** იგულისხმება, ვის სტუდია-სახელოსნოშიც იქმნებოდა მერის შესანიშნავი ფერწერული პორტრეტი. რამდენიმე დღე პოზირებდა თურმე მერი შარვაშიძე, თეთრი, გრძელი და ელეგანტური კაბით იჯდა სავარძელში...

სორინმა ეს ნამუშევარი საქართველოს უსახსოვრა, მაგრამ არავინ უწყის, რა გზით და როგორ, მერის ეს პორტრეტი ამჟამად მონაკოს პრინცის კოლექციაშია და მისი სასახლის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს...

გუდიაშვილის პასტელში შესრულებული „მერი“ კი საქართველოში, ბატონი ლადოს სახელოსნოში ინახება და მიუხედავად იმისა, რომ მისი თავდაპირველი ვარიანტი „დამკვეთის“ წარმოსახვის იდენტური არ აღმოჩნდა, დიდ მხატვარს დიდ პოეტთან უთბილესი მოგონებები აკავშირებს:

გალაკტიონი მერეც, არა ერთხელ მისულა მასთან და ერთხელ საკუთარი პორტრეტიც შეუკვეთავს...

***„გალაკტიონს ხშირად ვხვდებოდი... ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი... საუბრის თავისებური კილო ჰქონდა. მორცხვი იყო... მინდოდა გამომეხატა დიდი პოეტის სული... შევქმენი კიდეც ერთი სურათი – „გალაკტიონი და ლურჯა ცხენები“. ძალიან მაღელვებს ეს ლექსი. „ლურჯა ცხენებში“ პოეტი იმ ძალას გულისხმობს, რომელიც მას ბარათაშვილივით „ბედის სამზღვარს“ გადაატარებს...***

***ვნანობ, რომ ვერ შევძელი მისი ისეთი პორტრეტის დახატვა, როგორიც ჩემს ხსოვნას შემორჩა, მაგრამ, ეს მარტო ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიცაა, ისევე შეუძლებელი, როგორც მისი პოეზიის სხვა ენაზე თარგმნა... სულ მესმის მისი ხმა: „სალმო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი“.***

***მაინც მინდა, რომ დავხატო... დავხატო ისეთი, უკანასკნელად რომ მოვიდა ჩემს სახელოსნოში. ჩარჩოზე გადაკრული ტილო მომიტანა... ამაზე დამხატეო და წავიდა... ტილო კი ისევ ჩემს სახელოსნოში დევს“...***

ნინო ხოფერია

**P. S. რაც შეეხება მერის გვარის სწორ ტრანსკრიფციას – „შარვაშიძე“: ტიციანი, გუდიაშვილი, თვით გალაკტიონიც კი მას „შერვაშიძედ“ მოიხსენიებენ და ამიტომაც იქნებ არც ღირდეს ამგვარი დეტალური დაზუსტებანი...**

**(„შენ მაინც ვერსად გიპოვე მერი...“)...**

**მითუმეტეს, თუკი რეალურად არსებულს ლიტერატურულ სინამდვილედ წარმოვიდგენთ.**

**ნ. ხ.**





# „მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ“...

პოეტი, რომელიც მრავალი მცდელობის, სიკვდილისშემდგომი პრემიებისა თუ აჟიოტაჟების მიუხედავად, ვერც ერთი იდეოლოგიური სამსახურისთვის ვერ გამოიყენეს და რომელიც ბუნებრივად გაემიჯნა ყოველივე ხელოვნურს, რათა საკუთარი ღირებულებით გადაერჩინა თავისივე ლიტერატურული თუ პიროვნული სახელი.

მას ვერ ივიწყებენ.

აღმოჩნდება ხოლმე, რომ იგი ყველა თაობისთვის უაღრესად თანამედროვეა.

***„ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა,***
***მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ...“***

მირზა გელოვანის პოეტური ინტონაცია ყოველგვარი ძალდატანების, ორიგინალობის ძიების გარეშეც, განუმეორებელია, ძნელად მისაღწევი სისადავის და გულწრფელობის გამოც. ის ნაღდია და ამ თვალსაზრისით, გასული საუკუნის ლიტერატურული ექსპერიმენტების ეპოქაში ძნელად მოეძებნება ბადალი.

მირზა გელოვანი არასდროს ყოფილა ტიციანივით ან მიხეილ ჯავახიშვილივით აკრძალული მწერალი, მაგრამ მათგან განსხვავებით, მისი შემოქმედების ზუსტი ფასეულობის დადგენას დიდი დრო დასჭირდა...

ახლადგამოცემული **„მირზა გელოვანის ცხოვრების და შემოქმედების წიგნი“** პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის, მისი და მასზე წერილების ერთ მთლიანობად თავმოყრის, ამ დროისათვის ყველაზე სერიოზული ცდაა, რის შემდგომაც ვფიქრობთ, სრული აკადემიური გამოცემა მომზადდება, სათანადო სამეცნიერო აპარატურით, ვარიანტებით და ა.შ.

**„მირზა გელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნი, „ივრისპირელი მზეჭაბუკი“** (ეს ეპითეტი **პაოლო იაშვილს** ეკუთვნის), უაღრესად მნიშვნელოვანი კრებულია, რადგან აქ, პოეტის შემოქმედებასთან ერთად, შეტანილია ჩანაწერებიც, ეპისტოლარული მემკვიდრეობაც... მოძიებულია და აქამდე ცნობილ ტექსტებთან ერთად დაბეჭდილია ახლობელთა თუ მეგობარ-ნათესავთა საგულისხმო მოგონებები, ამავე დროს, ჩანს რამდენიმე თაობის ლიტერატორთა დამოკიდებულება მირზა გელოვანის შემოქმედებისა და ბედისადმი...

აქვე გვინდა დანანებით აღვნიშნოთ წიგნში არსებული უნებლიე კორექტორული შეცდომები და უზუსტობანი, აგრეთვე სასურველზე ნაკლები ხარისხით დაბეჭდილი უნიკალური ფოტომასალა.

თვალსაჩინოა გამოცემის მესვეურთა შრომა, მონდომება და რაც მთავარია, სულისკვეთება – სხვადასხვა გამოცემებში, პერიოდიკაში, არქივსა თუ ცალკეულ ოჯახებში გაფანტული მასალების მოგროვებისას. წიგნს შესავლის სახით **ემზარ კვიტაიშვილის „მირზა გელოვანის ლიტერატურული პორტრეტი“** ახლავს, რაც გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალში **„ჩვენი მწერლობა“** და ამ გზით ბევრი ნამდვილი მკითხველი მოიპოვა...

წერილის კვლევითმა და ამავე დროს ესეისტურმა ფორმამ, საინტერესო კომენტარებმა, შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოხატა და მირზა გელოვანის ლიტერატურულ ხიბლს და პიროვნულ ბედისწერას მრავალი კუთხით შეეხო.

გამოცემის პროექტის ავტორები არიან: **ციცინო გაბიდაური** და **მანანა ზარიძე;** რედაქტორ-შემდგენელი – **ემზარ კვიტაიშვილი;** გამოსაცემად მოამზადეს **მანანა ზარიძემ** და **ელგუჯა კვარაცხელიამ;** მხატვარი – **ანა შიოშვილი;** ტექნიკური რედაქტორი – **გოჩა კერძევაძე.**




წიგნს ერთვის მირზა გელოვანის ავტოგრაფებიც.

გთავაზობთ მირზა გელოვანის წერილს პოეტ გრიგოლ ცეცხლაძისადმი, რომელიც ჯერ კიდევ 1935 წლითაა დათარიღებული და ახალგაზრდა კაცის ყოფისა და ბედისწერის მცირე ფრაგმენტს გამოხატავს, თუ როგორ მძლავრობდა პოეზიაზე მის, ცხოვრების პროზა...

*ბიძია გრიგოლ!*

*ალბათ იცით: თიანეთი როგორი მივარდნილია და დავიწყებული. არაფერი არ მოდის დროზე და „მნათობის“ მეექვსე ნომერმაც გუშინ და მოაღწია ჩემამდის.*

*„ლაშაური სალამოების“ გაგრძელებაში წავიკითხე ჩემი ლექსი „თეთრი მიწა“. ლექსის დაბეჭდვა ისე არ გამახარებდა, გამახარა იმან, რომ თქვენ და პატივცემულმა რაჟდენ გვეტაძემ ჩემთვის ჩაიდინეთ ეს საქმე.*

*არ ვიყავი ღირსი ამდენი თქვენი წვალებისა. მაგრამ, ძია გრიგოლ! მე მაინც მინდა გამოგიტყდეთ: ამ ლექსის დაბეჭდვით სიმწვავეც ვიგრძენი, რადგან „პირველადვე სხვას ავეკიდე-მეთქი“, გავიფიქრე (ბავშვური თავმოყვარეობაა!), მაგრამ ვინუგეშე თავი, – სიარული რომ ისწავლო, საჭიროა სხვისი დახმარება. ხოლო რომ იარო, საჭიროა გზა.*

*დიახ, ასე გავიფიქრე და სწორედ ამ „გზის“ გულისთვის დავწერე ბალადა: „ცხენის ტირილი“ და გავაგზავნე „მნათობის“ რედაქციაში. ვფიქრობ, დაბეჭდავენ.*

*მე დღემდის ვმუშაობდი მასწავლებლად სიმონიანთხევის დაწყებით, არასრულ და სრულ საშუალო სკოლაში (საშუალო სკოლაში ვასწავლიდი მხოლოდ სამხედრო საქმეს), ასე რომ, მე მქონდა კვირაში 47 საათი. ეს ჩემთვის უდიდესი დატვირთვა იყო და არც ერთი საათი დასვენებისათვის, მით უფრო წერისათვის.*

*მაინც მოვახერხე და დავწერე შვიდთავიანი პოემა „საქართველო“, რამდენიმე ლექსი და ნოველი.* ***მე ვიცი: ამ პოემას არასოდეს ეღირსება დაბეჭდვა...***

*მასწავლებლობას 1 ნოემბრიდან დავეთხოვე. ეხლა ვარ უადგილოდ...*

***„პირუტყვდამზადებაში“*** *მთხოვეს მუშაობა და მეც ვაპირებ, მაგრამ, ძია გრიგოლ! განა ეს ყველაფერი სასაცილო არ არის?*

*ჩემს ერთ ახალ ლექსს გიგზავნით.*

*გწერთ:* ***მირზა გელოვანი.***

**P. S. აქ საკმაოდ დიდი თოვლია და გაცინებული ვიძახი: უდაბნო... უდაბნო...**

# ხმა გულიდან

● როდემდე, ხალხნო, როდემდე ვიყოთ წყალდიდობის მოლოდინში გულხელდაკრეფილნი და მტკვრის შემყურენი... და მერე სად, ხალხნო, გაქართველებული არაბი აბოს ნიშთან და დანაკუწებულ ჩვენს სათქმელ-სატკივარს უპატრონობით აყროლებულ დედა-მტკვარს ვატანდეთ?!



**◎ მწერალი დროში**

# ჰიპოპოტამის დროინდელი ბარათები იპო-დრომიდან...

ეჰ, დედის სურათი ღვთისმშობლის ხატქვეშ, მოშორებით მიკიდია... რომც გავიმეორო მისი ქება და სიყვარული, ნუ გამიწყრებით: ჩემს ულამაზეს დედას, მარიამს, მთელი თავისი სამშობლო მხარის ნაღველი თვალებით ჰქონდა ჩამოტანილი... ნაღვლიანი, ატმისფერხორცის, ოციოდე წლის ეს ნატვრისთვალი როგორ უძლებდა ამ კოჭრებიან, ჩექმებჭრაჭუნა, ოდნავ შეფხორილ აზნაურიშვილს, ვერ გამიგია. საიდუმლო... ბოლშევიკების დრო იყო, მაინც და მაინც ვერ ვიტყვი, რომ განსხვავდებოდა დღევანდელისაგან... ერთი გრძელტახტიანი, უშველებელი ოთახი, ერთიც პატარა, ქურა-ბუხარით გაწყობილი, პაპიდასი და მამიდასი საქინებელიც ეს იყო... მესამე კარგა მოზრდილი ოთახი მდგმურებისათვის ჩამოგვართვეს... დედა და ორი, ჩვენი ტოლი ქალიშვილი, აზა და ზემფირა, ომში დაღუპული მამის ობლები, საურავის გარეშე ცხოვრობდნენ. თხუთმეტამდე წლის ლამაზი ქალიშვილები. ის-ის იყო ქალურმა სიომ წამოუქროლა დებს, რომ ერთოთახიანი ბინა მისცეს მთავრობისაგან. ქალიშვილობის მქრალი ბიბინი თან გაიყოლიეს ქალიშვილებმა. მაგრად ვიტირეთ, ჩახუტებით და წრფელი ცრემლებით... ოცი წელია, სადაც-სადაც, ცხინვალიდან რომ პანღური გვიყვეს ჩვენმა სტუმართმოყვარე ოსებმა. მას აქეთ, გინდათ, ერაყის ბაღდადი და თბილისი ვთქვათ, თუგინდ, თბილისი და ჩვენი ცხინვალი — მაგარი კარის ჩაკეტვა სცოდნიათ ოსებსაც. მწერალთა კავშირშიც გვიჭირეს კუკუ.. ძლივს მოვასწარით მწერლებმა გარეთ გამოსვლა, ერთი, უშველებელი, კარის კაცი, ბოქლომივით ერთნახვრეტიანი დაგვიკიდეს ბოქლომის ნაცვლად, ზურგშექცევით. უერთგულესი ბრძანებასავით... გასაღები სხვენის სართულზეა დაბუდებული, კრუხის ფრთებქვეშ გასამრავლებლად ამოდებული... კართან მდგარი ძველყვითელი, კომკავშირული „ჟიგული“, თურმე, დანაღმული ყოფილა, ცხრაკლიტულს იქით რთული კავშირით. ამ საიდუმლოს ჯობია, ხელი არ ვახლოთ სამოციანელმა მწერლებმა... უიმისოდაც გვიჭირს სვლაგეზი, გასვენებითაც გვიჭირს ტარება მერყევი ტახტით... ყველაზე ერთად ხომ არ ბრძანებს მისი უმკაცრესობა, ამა და ამიდან გაასვენეთო...



აფსუს, მართლა ბადრო, ვაჟკაციშვილო, ბოლომდეც რომ არ დაგაცალეს ჩვენი მომწყემსვა... აფსუს, აფსუს, აფსუს!...

ძველისძველი ნაგლეჯი მაქვს შემორჩენილი. პირველკურსელი გახლდით იმჟამად. ანკესი მქონდა ჩაშვებული, ჯებირს იქით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. კიბეებიც ჩადის, გეცოდინებათ. ვისაც არ უჭირს, იქ ჩაირბენს და იქ ანკესობს, ზის თავისთვის, თანაც ანკესობს. იქით ნაპირს ტროტუარზე გამვლელს თავისი კიბეები აქვს, პატარა, კოკოხა იხვი ჰგონია იქითურს აქეთა და აქეთურს იქითა. ბარათაშვილიც ვერ ინატრებდა უკეთეს ადგილს, განსასვენებლად. ერთი ქვის ქვეშ მაინც ვერ დავეტევით ყველა მწერალი. ახლა წარწერა?! ყველას რომ „დავით“ ერქვას, ჰო, მაგრამ, შემოქმედების მოკლე-მოკლე ლათაიები?! სად გავექცევით!..

თბოსადგურის გვერდით, ვიდრე ქვაფენილით სანაპიროსკენ დავეშვებით, აი, მაშინ მე რომ პირველკურსელი, მომავალი არაბისტი ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, ხელმარჯვნივ, წითელი, ორსართულიანი აგურის შენობა უწინ, გულგრილებს რომ ჰქონდათ სამკურნალოდ გადაცემული, მაღალი რკინის ბადით, პატარ-პატარა უჯრედებით, ორი, გამხდარი თითიც რომ ძლივს ეტეოდა! თითებშუა ქაღალდის ნაგლეჯების გამორთმევას გთხოვდნენ და წინასწარ მადლობას გითვლიდნენ, სუფთა ჰაერზე გამოსული ჩაკეტილები. ზოგი გიღიმოდა, ზოგი, სერიოზულად გევედრებოდა, სწრაფად, რომ არ ენახათ ზედამხედველებს. ყველა ცდილობდა, მისი ბარათი აგეღოთ, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. ყვიროდნენ, წიოდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ გამვლელის ყურადღების მიპყრობას. მაღალ მიწაყრილზე უნდა შემდგარიყავი ბადის აქეთ, ბადისთვის უნდა ჩაგევლო, ცალი ხელი, ფეხი რომ არ მოგცურებოდა მწვანეზე...

მეორე ხელით გამოწვდილი ბარათები უნდა წამოგეკრიფა, ზოგი სიგარეტსაც გთხოვდა და ესეც უნდა მოგეხერხებინა. ზოგი შემტევი იყო, ზოგი მვედრებელი და სათნო ჩანდა. ქალი, კაცი, თეთრი ბარათებით — როგორც პეპლებით. მოდი და ნუ გამოართმევ, ან იაფ, სტუდენტურ სიგარეტს ნუ მიაწვდი.

უბრალო სპინინგით, რესტორანი „პეპელა“ რომ არის ლუდის ხიდთან, იქიდან მოვყვებოდი მტკვრის სანაპირო მოაჯირს. ხან ვიჭერდი, ხან ვერა, ესეც გასაგებია. მთავარი მაინც დაჭერაა, ამაშია აზარტი...

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ ეს ღვთის შვილები, ზოგი პირჯვარსაც მშვენივრად იწერდა და მცირე, ორ-სამსიტყვიან ვედრებასაც ალავლენდა...

შევეჩვიე ჩემს მტკვრისპირა მეგობრებს, ბარათებს ვართმევდი და მათგან მოშორებით, მოაჯირზე დაყრდნობილი ვეცნობოდი. უაზრო ნაკუწებს მტკვარში ვუშვებდი, ჭკვიანურს ჯიბეში ვიწყობდი, ზოგ ბარათს იქვე ვკითხულობდი განმეორებით... ერთი ბარათი ხნიერმა, მორუსო გარეგნობის ჩარჩოიანმა მომაწოდა. აქვე გავხსნი ბრჭყალებს, ჩარჩოიანი რატომაც ვიხმარე. სკასავით იყო აზზუვლებული იქაურობა, თან დაგმანულიც, გარეთ ვერ გამოდიოდნენ, წითლად შეღებილ, ორსართულიან შენობაში ბზუოდნენ, ცხვირის გამოსაყოფი, მაღალბადიანი, პაწია ეზო ვერ იტევდა ყველას. ცხადია, ათი-თხუთმეტი, ერთმანეთზე შეჩონჩხილი და შედარებით ნაკლებაბეზარი სკის ბინადარი, როგორც კაპიტნის საჭესთან, ისე შეგროვდებოდნენ გემბანზე და გამვლელ-გამომვლელისაგან იმ პატარა ყურადღებას ითხოვდნენ, მე რომ მოგახსენეთ, ძვირფასო მკითხველო... მწერლობა რომ ძნელზე-ძნელია, გვიან ხვდები, როცა ამ ჩვენი, ბადისიქითა ცხოვრების ქიცმაცურზე ჩაფიქრდები, ამ თეთრპეპლებიან გოგო-ბიჭებს ზერელედ რომ მაინც გაიცნობ. იქ მოხუცებულ ადამიანებს ბადის აქედან რომ დაუახლოვდები, ნელნელა შენც წერას იწყებ, უფრო დიდ ფორმატზე, თაბახს რომ ვეძახით, წერ და წერ, კითხულობ, ათეთრებ, ზოგს ჭმუჭნი და გვერდზე ისვრი. შავი და თეთრი ერთმანეთში გერევა, სახეებიც — ბადის იქიდან რომ გეხვეწებიან და გეწეწებიან... რომ ოღონდ როგორმე ყურადღება მიაქციო... ვითომ დიდი ვინმეც შენა მყავხარ... რატომაც არა, პირველი სამი ნოველა ხომ უკვე დაიბეჭდა ჩვენ საყვარელ „ცისკარში“. ოჰო-ჰოჰო, რედაქტორთან, კიდევაც რომ შეუყვარდი და შენც რომ ღირსეულად გიჭირავს თავი, გურამ რჩეულიშვილმა რომ იცოდა ისე... მათრახს რომ ვერ მიაკარებდი, აი, ისე, ისე, ჩემო გურამ, ჩემო დიდო, ჩვენო დიდო, სამოციანელო. ეჰ, ზღვაოზღვაო, კაცის გარჩევა რომ არ იცი, მარტო ამიტომ უნდა ჩამოგერთვას შენ ქართული ზღვის წოდება. ის გურამი აღარ არის, სხვები ხომ არიან, მეც ბოლოკუდად ხომ ვარ, სამოციანელებში, სამოცდამეერთე კუდად... ნეტავი არ გამოგყოლოდით, „ცისკრამდე“, ჭენებ-ჭენებით, ნეტავი არ მეგრძნო ის ტკბილმწარე სკა, რომელსაც ვბეჭდავდით ნამდვილი ფუტკრებივით... როგორ არ გავხდით, არ ვიქეცით მეფუტკრეებად. რა, ცოტა ვბეჭდეთ?! ცხადია, ცოტა მეტი იყო საჭირო, მეტი...

აი, რა ეწერა ერთ-ერთ ბარათში, ქერჭრელი სახის რუსქართველა, გაფითრებულმა და გაჭაღარავებულმა დედაბერმა რომ მომაწოდა:

— შვილიშვილს მე ვზრდი, იცით... დედას და მამას, ერთმანეთი რომ აღარ მოეწონათ, გაცილდნენ. მეორე ოჯახი მოიშენეს, ამ ბავშვს — ჩემს კოკას, მე ვზრდიდი. ოცისა გახდა და ცემა დამიწყო, დამაყარა, ნერვების დამამშვიდებელი წამალი დროზე ვერ შევუძინე, დამაყარა, დამაყარა და გაიქცა, გარბოდა და ტიროდა, — ვაი, ბები, ეს რა ვქენი, ეს რა ვქენი, მაპატიე და მაპატიეო. ახლოს გვქონდა პოლიკლინიკა, თურმე ექიმს ეხვეწებოდა, მაპატიეთო. მეც შევესწარი, წამალი მოგვცა, მერე მეც შევიძინე მარაგი, უწყვეტი მკურნალობისათვის. მე ვუთხარი, მალე მოვკვდები-მეთქი. ის ჩამეხუტა: არა, ბაბუშკა, ღმერთი არ მოგცემს სიკვდილის ნებასო. პირველად მაშინ ახსენა ღმერთი, მანამდე არასოდეს გამიგონია მისგან ღმერთის ხსენება. — რატომ გგონია, რომ ღმერთი მე არ მომკლავს? — ვკითხე გაკვირვებულმა.

—იმიტომ, ბებიკო, რომ შენ ჩემთვის ხარ ამ ქვეყანაზე და მე კიდევ — შენთვის... პირი დაავალე. ასეთი დალაგებული სიტყვები?! ასეთი გულკეთილი, ასეთი ბრძნული, ასეთი მოკლე და გასაგები, რომ მე მისთვისა ვარ ამ ქვეყანაზე და ის კიდევ ჩემთვის! გესმით, ბატონო მეთევზევ. ოქროს თევზი თუ შეგხვდეთ, სთხოვეთ ჩემზე და კოკაზე, დაგვიხსნას რამენაირად, ამ საშინელი თაიგულიდან ამოგვიღოს... სადმე, სოფელში ფრანგულს ვასწავლი, ლედანტიუა ჩემი გვარი, მამით ფრანგი ვარ, უფრო სწორად, მამის მამით, სუფთა ფრანგი გახლავართ. წამლებს მე ვყიდულობ შვილიშვილისთვის.

ძველი პილოტი, ახალბედა სენტ-ეგზიუპერიც ასე არიგებდა: — ქარიშხლები, თოვლი, ნისლებს იქიდან ამოწვდილი მწვერვალების კბილთა ღრჭენა რომ ყელში ამოგივა, მაშინ უნდა გაიხსენო ისინი, ვინც შენამდე იწვნია ეს საშინელება. აი, სწორედ მაშინ უნდა შეუძახო თავს: თუკი მათ სძლიეს საშინელ ამინდს, მეც დავძლევ, უეჭველად მოვერევი მეც. ტულუზა, დაკარი, ალიკანტე, კასაბლანკა, საჰაერო ფოსტის ძველი პილოტები რომ ფრთხილობდნენ, სიკვდილმისჯილი სიცოცხლის შესახებ თავახდილ თხრობას ეხიდებოდნენ. მანამდე, ვიდრე თვითონ მთხრობელი განეწილი ღრუბელივით არ შეერწყმოდა უკვდავების ცას! აი, მაშინ უკვე საშვილიშვილო მოწიწებით იმსჭვალებოდნენ ახალბედები ძველების მიმართ.

ეგზიუპერი, ჩვენი სამოციანელი მწერლებისთვის თვალწინ გაელვებული, ზღაპრული, თითქოს მარტივი, გამჭვირვალე, პლანერივით სიფრიფანა, მაგრამ ხმალივით ბასრი კვეთებით სჭრიდა ღრუბელივით შელესილ ღრჯოლებიან მთებს.

ორმოცდაოთხში-ორმოცდაოთხის, ცნობილი ფრანგი მწერალი, ანტუან დე სენტ ეგზიუპერი იმდენად ცნობილი სამხედრო მფრინავი იყო, რომ გერმანელმა ასმა გვარი-სახელით გააფრთხილა, ფრენა შეეწყვიტა და მიწაზე დაშვებულიყო, თორემ...

სამოცი წელი გულში დაფლულ საიდუმლოს ინახავდა გერმანელი „ასი“: ასი მეტრის სიმაღლიდან რომ დააყარა ტყვია სეტყვასავით და ზღვაში ჩაასისხლიანა. დაკარგა, მაგრამ ვერ დაკარგა, ვერ დამალა გერმანელმა და, სამოცი წლის შემდეგ, ახლახან დაიძახა, — მე მოვკალიო მწერალი ეგზიუპერი. ვადაგასული შამპანურივით ამოხეთქა, გაიწუწა და გაწუწა სხვებიც.

საკვირველია! რაღაც მწერლურმა ნაპერწკალმა თუ გაუელვა დიდ ფრანგ მწერალს... მთლად რკინისა ხომ არ იყო მისი თვითმფრინავი. ცალი ფრთა მწერალს მტრედისა ჰქონდა. იმ ფრთას გახედა, ნამდვილად და მაშინვე დაჰკრა გერმანელმა „ასმა“ ასიათასების საყვარელ მწერალს. ეს მაშინ, ორმოცდაოთხში და ახლა, ასიათასჯერ ასიათას მკითხველს რა პასუხს გასცემს ცოცხალი „ასი“. ვადა გასულია და ახლა, ვინ რა ხმას გასცემს, ბრძოლის დროს მოკლა თანაც — ლოგინში ხომ არ დასხმია მძინარე მწერალს...

ჩემმა ნაცნობმა თითებმა რა ქნან, ბადის იქიდან, იმედივით დაკუწული ბარათები კვლავ შემავედრონ? წაიღე, რა! წაიღე და იმას უთხარი. დიდთავიანს და დიდ კბილებას, რა დღეში ვყრივართ და როგორ გვიჭირს. პატარ-პატარა ნაფლეთებივით დაქუცმაცებულ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ, ბადის აქეთურებსაც, ცოტა როდი გვაქვს სატკივარი. ვის შევჩივლოთ? ვის?! გვითხარით, დავხიოთ? თითებშუა დავიკავოთ ნაფლეთ-ნაფლეთ და გამვლელ-გამომვლელს დავურიგოთ? თუ მტკვარს გავატანოთ და ჩვენც თან გადავყვეთ, თუ... როდემდე, ხალხნო, როდემდე ვიყოთ წყალდიდობის მოლოდინში გულხელდაკრეფილნი და მტკვრის შემყურენი... და მერე სად, ხალხნო, გაქართველებული არაბი აბოს ნიშთან და დანაკუწებულ ჩვენს სათქმელ-სატკივარს უპატრონობით აყროლებულ დედა-მტკვარს ვატანდეთ?!

**მერაბ ელიოზიშვილი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 67.**

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

# სპორტი

● **ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების რაგბის მამებმა ტრადიციული კრასნოდარის სტადიონი თავიანთი მორაგბეებისთვის უილბლოდ მიიჩნიეს და ჩვენებთან ერთად მათი „გაციმბირება“ გადაწყვიტეს**



№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

**◎ რაგბი**

## „გაციმბირებულთა“ დუელი

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლოსწინა ტურში რუსეთის გუნდს კრასნოიარსკში დაუპირისპირდება.**

**ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების რაგბის მამებმა ტრადიციული კრასნოდარის სტადიონი თავიანთი მორაგბეებისთვის უილბლოდ მიიჩნიეს და ჩვენებთან ერთად მათი „გაციმბირება“ გადაწყვიტეს. ბორჯღალოსნებმა „ენისეის“ სათადარიგო მოედანზე რამდენჯერმე ივარჯიშეს.** მატჩი, რომელიც დღეს თბილისის დროით 11 საათზე დაიწყება, დაასახელებს ევროპის ერთა თასის მფლობელს. ამ ორთაბრძოლის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.



საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ოთარ ბარკალაია, ირაკლი ჩხიკვაძე, დავით კაჭარავა, რეზო გიგაური, გიორგი შკინინი, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე, გოდერძი შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, კახაბერ უჩავა, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია, დავით დადუნაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, ბიძინა მახარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ალექსანდრე თოდუა.

## სანტიაგო მასპინძლობს

**ჩილეში 15 აპრილს იწყება 20 წლის მორაგბეთა მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს.**

A ჯგუფში ითამაშებენ ჩილე, რუმინეთი, ნამიბია, კუკის კუნძულები, ხოლო B ჯგუფში საქართველო. ურუგვაი, კორეა და იამაიკა დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ახალგაზრდა ბორჯღალოსანთა შეხვედრების კალენდარი ასეთია:** 15 აპრილი. **საქართველო –იამაიკა,** 19 აპრილი. **საქართველო – კორეა,** 23 აპრილი. **საქართველო – ურუგვაი.** ფინალი 27 აპრილს გაიმართება.

**◎ კრივი**

## ათენი — იმედის ქალაქი

**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გრძელდება მოკრივეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ. ორი წრის შემდეგ პეკინის საგზურებისთვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ სამი ჩვენებური შემორჩა. წინა თამაშების მონაწილემ ნიკოლოზ იზორიამ (57 კგძ დამაჯერებლად სძლია ბულგარელ ალექსეი შაიდულინს, პოლონელ მიხაილ ჩუდეცკის და ნახევარფინალში შვედ ბაშირ ჰასანს შეხვდება.**



ასევე, ორი წრე იოლად განვლო კობა ფხაკაძემ (60ძ. თავად განსაჯეთ – ჰოლანდიელ ჰუსნი კოჩაბაში 26:9 დაამარცხა, ხოლო ბოსნიელ ადნან ჰაჯიჰაჯიჩს 23:3 მოუგო და ნახევარფინალში ფრანგ დაუდა სუს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში იზორიაც და ფხაკაძეც 2008 წლის ოლიმპიადის საგზურებს დაიმსახურებენ.

პეკინში წამსვლელთა შორის მოსახვედრად კახაბერ ჟვანიასაც (69ძ ერთი ნაბიჯი აშორებს მას შემდეგ, რაც მან ხორვატ ბორა კატალინითს. ბულგარელ ევგენი ბორისოვსა და ლატვიელ დმიტრის სოსტაკოს დააყრევინა ფარ-ხმალი. ნახევარფინალში სომეხ მატევოსიანთან მარცხის შემთხვევაშიც კი ექნება თამაშების საგზურის მოპოვების შანსი, რადგან ამ წონაში სამი ლიცენზია თამაშდება.

ნახევარფინალური ორთაბრძოლები გუშინ გვიან გაიმართა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების დანარჩენ წევრებს – ლევან ღვამიჩავას (64ძ, დავით წიკლაურსა და გიორგი ნაკანს, ისინი შეჯიბრებას ადრევე გამოეთიშნენ.

**◎ ფეხბურთი**

## გერმანული სული

**იცვლებიან თაობები, ბუნდესლიგაში თანდათან მკვიდრად იკიდებენ ფეხს ფერადკანიანი ოსტატები, მაგრამ უცვლელი რჩება გერმანული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი უტეხი სული და ბოლომდე ბრძოლის უნარი. ამის უკანასკნელი გამოვლინება გახლდათ უეფას თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი „ხეტაფესა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის, რომელიც ესპანეთში გაიმართა (პირველი შეხვედრა – 1:1ძ.**

აღსანიშნავია, რომ სტუმართა ფრანგმა ვარსკვლავმა რიბერიმ ანგარიში ძირითადი დროის ბოლო წუთზე გაათანაბრა – 1:1, მათმა იტალიელმა ბომბარდირმა ტონიმ კი პარტნიორები დამატებითი დროის უკანასკნელ ხუთ წუთში იხსნა, როცა 1:3-ზე „დუბლი“ შეასრულა, ტაბლოზე 3:3 აანთო და გერმანული გრანდი შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

დანარჩენი შედეგები: „სპორტინგი“ – „რეინჯერსი“ 0:2 (0:0ძ, „ზენიტი“ – „ლევერკუზენი“ 0:1 (4:1ძ, „ეინდჰოვენი“ – „ფიორენტინა“ 0:2 (1:1ძ.

ამრიგად, 24 აპრილსა და 1 მაისს ნახევარფინალში ითამაშებენ: „ზენიტი“ – „ბაიერნი“, „რეინჯერსი“ – „ფიორენტინა“.

**◎ კალათბურთი**

## ელიტური ვნებანი

**გამოვლინდნენ ულების თასის გათამაშების ნახევარფინალისტები. ამ ეტაპზე მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: „გალათასარაი“ – „ხუვენტუდი“, „ხირონა“ –„დინამო“ (მოსკოვიძ.**



აღსანიშნავია, რომ თურქულმა კლუბმა და ბადალონელებმა განვლილ წრეში თანამემამულენი დაამარცხეს: „გალათასარაი“ – „ბეშიქთაში“ 61:60, „ხუვენტუდი“ – „ვალენსია“ 77:67. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა გამთამაშებელმა შემონდ უილიამსმა ვალენსიელებს 25 ქულა მოუტანა, თუმცა მაინც ვერ უშველა მათ.

* * *

**ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უკანასკნელი მონაწილე გახდა თელ-ავივის „მაკაბი“, რომელმაც დამატებითი მატჩი „ბარსელონას“ მოუგო – 88:75 (2:1ძ.**

ამრიგად, 2 მაისს მადრიდში ნახევარფინალში ითამაშებენ: „ტაუგრესი“ – ცსკა, „მაკაბი“ – „მონტეპასკი“.

**◎ ორბიტაზე**

### საუკეთესონი საუკეთესოებში

**ინგლისურმა გაზეთმა The Sun შეადგინა იმ სპორტსმენების რეიტინგი, რომლებმაც თავი ისახელეს სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში და ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ პირველობას.**

პირველ ათეულში პირველია ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი.** კაცი, რომელმაც 90-იან წლებში კიბო დაამარცხა, 1999 წლიდან 2005 წლამდე იყო ყველაზე პრესტიჟული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული.

მეორე ადგილზე ამერიკელი მეგოლფე **ტაიგერ ვუდსა,** რომელმაც პირველი ტურნირი მოიგო 1997 წელს, 22 წლისამ. შემდეგ ის 12-ჯერ გახდა მსოფლიოში უდიდესი შეჯიბრებების გამარჯვებული. და კიდევ განაგრძობს ასპარეზობას.

მესამე ადგილზეა ლეგენდარული მოკრივე **მოჰამედ ალი.** ის იბრძოდა 60-იან და 70-იან წლებში. მსოფლიო ჩემპიონი გახდა 22 წლისა. მოუხდა ბევრი სიძნელის გადალახვა, დამარცხდა ჯო ფრეიზერთან და კენ



ნორტონთან. მაგრამ მალე აღიდგინა ფორმა და ორივე დაამარცხა. დაამარცხა რა ჯორჯ ფორმანი, ათი წლის შემდეგ კვლავ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

საუკეთესოთა ათეულში არიან აგრეთვე, მიხაელ შუმახერი, პიტ სამპრასი. ფილ ტეილორი, შტეფი გრაფი, ჯეკ ნიკლაუსი, როჟე ფედერერი და სტივენ ჰენრი.

### კრაშტიანუ რონალდუ — ყველაზე მდიდარი



**ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ყველაზე მდიდარი იქნება პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ. France Football-ის ცნობით, მისი გამომუშავება „მანჩესტერ იუნაიტედში“ 19,5 მილიონი ევროა წელიწადში.** თუმცა პორტუგალიელი ყველაზე მდიდარი როდია მსოფლიოში – მას უსწრებენ დევიდ ბექჰემი (31 მილიონიძ, რონალდინიო (24,1ძ და ლიონელ მესი (23ძ. მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნება ავსტრიასა და შვეიცარიაში. სამაგიეროდ იქნებიან ფრანგი ტიერი ანრი (16,8 მილიონიძ და გერმანელი მიხაელ ბალაკი (13,8 მილიონიძ.

### შიშველი ევრო

**2008 დედიშობილა ადამიანი მიიღებს მონაწილეობას ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისადმი მიძღვნილ ამერიკელი ფოტოხელოვანის სპენსერ ტუნიკის მიერ ვენაში მოწყობილ კომპოზიციაში. ავსტრიის ეროვნული რკინიგზა მზადაა, 11 მაისს ვენამდე, ერნსტ ჰაპელის სტადიონამდე უფასოდ გადაიყვანოს კომპოზიციის მონაწილენი. ამ სტადიონზე ხომ 29 ივნისს გაიმართება ჩემპიონატის ფინალური მატჩი.**

ვენის პრესტიჟული საგამოფენო ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა კატარინა მურმეტელმა განაცხადა, რომ ტუნიკის უჩვეული შემოქმედება იდეალურად ეხმაურება საფეხბურთო ჩემპიონატის ატმოსფეროს, ვინაიდან ის, როგორც სპორტი, ემსახურება „ურთიერთობის ძლიერი სულის“ გავრცელებას.

სიშიშვლის 2008 მოყვარული ცნობილი გახდება უშუალოდ ფოტოსესიის დაწყების წინ.

ტუნიკი ცნობილია შიშველი ადამიანების დიდი ჯგუფების ამსახველი ფოტო- ნამუშევრებით. ყველაზე მასშტაბური იყო ფოტოგადაღება მეხიკო-სიტიში, რომელშიც 18 ათასი კაცი მონაწილეობდა.



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 32-85-76; 98-65-87

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

№2/503-08

# განჩინება

## საქართველოს სახელით

## (პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ)

**2 აპრილი, 2008 წელი** **ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სოფიო მაჭავარიანმა განიხილა შპს „ვაგის" სარჩელზე საჯარო პუბლიკაციის გამოყენების საკითხი და**

### გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია №2/503-08 საქმე შპს „ვაგის" სარჩელისა გამო მოპასუხეების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის, ბადრი მოლაშხიასა და სხვათა მიმართ პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მიუხედავად მოსარჩელე მხარისა და სასამართლოს არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა სარჩელის და თანდართული მასალების მოპასუხეებისათვის ჩაბარება კანონით დადგენილი წესით, რის გამოც გამოიკვეთა მისთვის საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით შეტყობინების აუცილებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

### სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

### დაადგინა:

1. ეცნობოს **ნიკოლოზ ალადაშვილს, ზურაბ ანანიაშვილს, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძეს, ნიკოლოზ გედენიძეს, პაატა კაპანაძეს, ლამარა მჭედლიძეს, გიორგი ნიშნიანიძეს, ვიქტორ ოყრეშიძეს, ელგუჯა უნდილაშვილს, გიორგი ქიმერიძეს, მარინე ყიფშიძეს, დავით შალიკაშვილს, ილია ჩათლაშვილს** (მის.: თბილისი, შეშელიძის ქუჩა №17ძ, ასევე სს „დავით ალმაშენებელს" (მის. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა №77ძ, შპს „ა.მ.ს" (მის. თბილისი, ჯორჯაძის ქუჩა №5აძ, შპს „ლადი აუდიტს" (მის. თბილისი, ამბროლაურის ქუჩა №3 კორპუსი, ბინა №11ძ, შპს „ხოხობს" (მის. თბილისი, არაგვის ქუჩა №8ძ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე №2/503-08 შპს „ვაგის" სარჩელისა გამო მოპასუხეების: **ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, ლამარა მჭედლიძის, გიორგი ნიშნიანიძის, ვიქტორ ოყრეშიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის** სს „დავით ალმაშენებელის", შპს „ა.მ.ს"-ის, შპს „ლადი აუდიტის", „შპს „ხოხობის" მიმართ, პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.
2. ხსენებულ განჩინებასთან ერთად გამოქვეყნდება სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე მოპასუხისათვის განკუთვნილი გზავნილის ფორმა, სულ 8 გვერდი და დამატებით მოპასუხეებს განემარტება, რომ მას დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა აქვს სასამართლოში;
3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში";
4. განჩინება ქვეყნდება მოსარჩელის ხარჯით;
5. სარჩელი, თანდართული მასალები და გზავნილი მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე ს. მაჭავარიანი.**

---

**საქმე №2/503-08**

**2 აპრილი 2008 წელი**

**მოპასუხისადმი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტის ასლების**

# გზავნილი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №1**

**ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია და სხვა.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, გეგზავნებათ მოსარჩელე შპს „ვაგი" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები „7" ფურცლად.

თქვენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახითძ უნდა შეადგინოთ პასუხი (შესაგებელიძ სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მათი ჩაბარებიდან „7" დღის ვადაში. **სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.**

ინფორმაციას პასუხის (შესაგებლისძ შევსების წესების, აგრეთვე მისი წარუდგენლობით გამოწვეული შედეგების შესახებ, გაეცანით შესაგებლის შევსების ინსტრუქციაში (თან ერთვის პასუხის (შესაგებლისძ ფორმა).

**მოსამართლის თანაშემწე კ. ნადარაია**

### გთხოვთ გაითვალისწინოთ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის, პასუხის (შესაგებლისძ, სააპელაციო საჩივრის, სააპელაციო პასუხის (შესაგებლისძ, საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პასუხის (შესაგებლისძ ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7აძ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა (ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №12ძ და ნებისმიერ რაიონულ (საქალაქოძ სასამართლოში, აგრეთვე მოიძიოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (www.hcoj.gov.geძ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს (www.supremecourt.geძ, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (www.tbilisiappeal.court.gov.ge/index.phpძ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (www.gba.geძ საიტებზე.

**ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას**

**მოსარჩელე შპს „ვაგი"-ს დირექტორი**
**გიორგი ვაშაკიძე**
**მისამართი: შეშელიძის ქ. №17**
**მოპასუხეები: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე, დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი.**
**მისამართი: შეშელიძის ქ. №17**
**სს „დავით ალმაშენებელი",**
**მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №77**
**შპს „ა.მ.ს.**
**მისამართი: ჯორჯაძის ქ. №5ა**
**შპს „ლადი აუდიტი"**
**მისამართი: ამბროლაურის ქ. კორპ. 3. ბ. 11**
**შპს „ლუსანი"**
**მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-7 კვ. კორპ. 9, ბ. 21.**
**შპს „ხოხობი"**
**მისამართი: არაგვის ქ. №8**

## სასარჩელო განცხადება

### (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვაგი"-ს პარტნიორების საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ)

მოგახსენებთ, რომ 2004 წლის 25 ივნისს ს.ს. „ვაგი"-ს აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ და რეორგანიზებული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად შპს „ვაგი", რომელიც რეგისტრირებულია გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 29.06.2004 წლის დადგენილებით. რეორგანიზაციის შედეგად სააქციო საზოგადოების აქციონერები გახდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები, რომელთა წილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად: გიორგი ვაშაკიძე 70.833 პროცენტი, გიორგი ახვლედიანი 21.44 პროცენტი, ს.ს. „ვანო და კომპანია" 5.417 პროცენტი, ბადრი ვაშაკიძე 0.03 პროცენტი, მარინა სიმონიშვილი 0.02 პროცენტი, ნიკოლოზ ალადაშვილი 0.02 პროცენტი, ზურაბ ანანიაშვილი 0.4 პროცენტი, ბადრი მოლაშხია 0.02 პროცენტი, გივი გაჩეჩილაძე 0.02 პროცენტი, ნიკოლოზ გედენიძე 0.1 პროცენტი, პაატა კაპანაძე 0.02 პროცენტი, ლამარა მჭედლიძე 0.2 პროცენტი, გიორგი ნიშნიანიძე 0.2 პროცენტი, ვიქტორ ოყრეშიძე 0.04 პროცენტი, ელგუჯა უნდილაშვილი 0.04 პროცენტი, გიორგი ქიმერიძე 0.2 პროცენტი, მარინე ყიფშიძე 0.1 პროცენტი, დავით შალიკაშვილი 0.02 პროცენტი, ილია ჩათლაშვილი 0.02 პროცენტი, სს „ალმაშენებელი" 0.2 პროცენტი, შპს „ა.მ.ს" 0.4 პროცენტი, შპს „ლადი აუდიტი" 0.02 პროცენტი, შპს „ლუსანი" 0.04 პროცენტი, შპს „ხოხობი" 0.2 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ვაგი"-ს რიგი პარტნიორები: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე, დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი, ს.ს. „დავით ალმაშენებელი" შპს „ა.მ.ს.", შპს „ლადი აუდიტი", შპს „ლუსანი", შპს „ხოხობი" დღიდან საზოგადოების დაფუძნებისა არ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ დამფუძნებელ პარტნიორთა უფლებებსა და მოვალეობებს. მიუხედავად კანონით დადგენილი წესით მათი არაერთი მოწვევისა, არ ღებულობენ მონაწილეობას საზოგადოების საერთო კრების ჩატარებაში. ამასთანავე, საზოგადოება არ ფლობს სრულყოფილ მონაცემებს მათ შესახებ, რაც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაციისათვის. გამომდინარე აქედან, საზოგადოების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რათა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სრული მოცულობით განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები, ადგება ზიანი. აღნიშნული გარემოებების გათვალისიწინებით 2007 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა შპს „ვაგი"-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმოს საწესდებო კაპიტალის 70.883 პროცენტის მფლობელი პარტნიორები, სადაც სრულად იქნა დაცული „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 47.4 და 47.5 მუხლების მოთხოვნები და ღია კენჭისყრით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ზემოთ აღნიშნული პარტნიორების გარიცხვის შესახებ, ხოლო მათი წილის 2.26 პროცენტის პროპორციულად კომპენსაციების გაცემა დაევალა საზოგადოების პარტნიორს გიორგი ვაშაკიძეს.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 31.2 მუხლის შესაბამისად, თუ პარტნიორი მასზე დაკისრებულ მოვალეობას დაარღვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ასევე თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება მისთვის შეუძლებელი ხდება ან არსებობს სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ პარტნიორების გარიცხვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ შპს „ვაგი"-ს სახელით და გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება შპს „ვაგი"-ს პარტნიორების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, ლამარა მჭედლიძის, გიორგი ნიშნიანიძის, ვიქტორ ოყრეშიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის, ს.ს. „დავით ალმაშენებელი"-ს, შპს „ა.მ.ს"-ს, შპს „ლადი აუდიტი"-ს, შპს „ლუსანი"-ს, შპს „ხოხობის" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვაგი"-დან გარიცხვის შესახებ (მათი წილი საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 2.26 პროცენტის – 1930 ლარის ოდენობითძ.

**დანართი:** **შპს „ვაგი"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან**
**სასამართლო დადგენილება შპს „ვაგი"-ს რეგისტრაციის შესახებ**
**შპს „ვაგი"-ს 2007 წლის 27 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმი**
**სახ. ბაჟის ქვითარი**

**დირექტორი გ. ვაშაკიძე**

---

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

**ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია**
**05 ოქტომბერი 2007 წ.**
**ბრძანება №12581/001-1/4-388 მას უარი**

**შპს „ვაგი"-ს სამეწარმეო**
**რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების**
**შეტანის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ**

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" $5^4$ და $5^5$ (უარი საწარმოს რეგისტრაციაზეძ მუხლებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №233 ბრძანების შესაბამისად

### ვბრძანებ:

უარი ეთქვას განმცხადებელს შპს „ვაგი"-ს დირექტორს გიორგი ვაშაკიძეს შპს „ვაგი"-ს სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის რეგისტრაციაზე საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" $5^4$.1 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე.

**ინსპექციის უფროსი**
**(მოადგილე, უფლებამოსილი პირი) ხელმოწერილია**
**შემსრულებელი ს. ჭელიძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვაგი“-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი

2007 წლის 27 ნოემბერს შპს „ვაგი“-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრება ჩატარდა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, შეშელიძის ქუჩა №17-ში, დღის 12 საათზე, რომელსაც ესწრებოდნენ დამფუძნებელი პარტნიორები: გიორგი ვაშაკიძე, ბადრი ვაშაკიძე და მანანა სიმონიშვილი.

კრების თავმჯდომარე გიორგი ვაშაკიძე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კრება უფლებამოსილია ჩასატარებლად, ვინაიდან სრულად არის დაცული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.4 და 47.5 მუხლების მოთხოვნები დირექტორის მიერ (დაეგზავნათ წერილობითი შეტყობინებები დამფუძნებლებს კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო იმ დამფუძნებლებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, კრების ჩატარების შესახებ ეცნობათ საჯარო განცხადებითძ. კრებას ესწრებოდნენ საწესდებო კაპიტალის 70.883 პროცენტის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორები. კრებას არ ესწრებოდნენ შემდეგი დამფუძნებელი პარტნიორები: ნიკოლოზ ალადაშვილი 0.02 პროცენტი, ზურაბ ანანიაშვილი 0.4 პროცენტი, ბადრი მოლაშხია 0.02 პროცენტი, გივი გაჩეჩილაძე 0.02 პროცენტი, ნიკოლოზ გედენიძე 0.1 პროცენტი, პაატა კაპანაძე 0.02 პროცენტი, ლამარა მჭედლიძე 0.2 პროცენტი, გიორგი ნიშნიანიძე 0.2 პროცენტი, ვიქტორ ოყრეშიძე 0.04 პროცენტი, ელგუჯა უნდილაშვილი 0.04 პროცენტი, გიორგი ქიმერიძე 0.2 პროცენტი, მარინე ყიფშიძე 0.1 პროცენტი, დავით შალიკაშვილი 0.02 პროცენტი, ილია ჩათლაშვილი 0.02 პროცენტი, ს.ს. „ალმაშენებელი“ 0.2 პროცენტი, ს.ს. „ვანო და კომპანია“ 5.417 პროცენტი, შპს „ა.მ.ს“ 0.4 პროცენტი,შპს „ლადი აუდიტი“ 0.02 პროცენტი, შპს „ლუსანი“ 0.04 პროცენტი, შპს „ხოხობი“ 0.2 პროცენტი, სულ საწესდებო კაპიტალის 7.677 პროცენტის მფლობელები.

დღის წესრიგი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვაგი“-ს პარტნიორების: ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ გედენიძის, პაატა კაპანაძის, ლამარა მჭედლიძის, გიორგი ნიშნიანიძის, ვიქტორ ოყრეშიძის, ელგუჯა უნდილაშვილის, გიორგი ქიმერიძის, მარინე ყიფშიძის, დავით შალიკაშვილის, ილია ჩათლაშვილის, ს.ს. „დავით ალმაშენებელი“-ს, შპს „ა.მ.ს“-ს, შპს „ლადი აუდიტი“-ს, შპს „ლუსანი“-ს, შპს „ხოხობი“-ს საზოგადოებიდან გარიცხვისა და საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა წილის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგში არსებული საკითხის შესახებ. მან განაცხადა, რომ შპს „ვაგი“-ს დამფუძნებელი პარტნიორები: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე„ დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი, ს.ს. „დავით ალმაშენებელი“, შპს „ა.მ.ს“, შპს „ლადი აუდიტი“, შპს „ლუსანი“, შპს „ხოხობი“ დღიდან საზოგადოების დაფუძნებისა, არ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ დამფუძნებელ პარტნიორთა უფლებებსა და მოვალეობებს. მიუხედავად კანონით დადგენილი წესით მათი არაერთი მოწვევისა, არ ღებულობენ მონაწილეობას საზოგადოების საერთო კრების ჩატარებაში. ამასთანავე, საზოგადოება არ ფლობს სრულყოფილ მონაცემებს მათ შესახებ, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაციის შესახებ საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენისას. გამომდინარე აქედან, საზოგადოების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რათა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სრული მოცულობით განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები ადგება ზიანი, რის გამოც გარიცხული უნდა იქნენ აღნიშნული დამფუძნებელი პარტნიორები საზოგადოებიდან და მიეცეთ შესაბამისი კომპენსაციები თავიანთი წილების პროპორციულად, ხოლო მათი წილი, რომელიც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 2.26 პროცენტს, გადაეცეს საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორს გიორგი ვაშაკიძეს, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციების ანაზღაურებას პარტნიორთა წილების პროპორციულად.

ღია კენჭისყრით გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:**

შპს „ვაგი“-ს დამფუძნებელი პარტნიორები: ნიკოლოზ ალადაშვილი, ზურაბ ანანიაშვილი, ბადრი მოლაშხია, გივი გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ გედენიძე, პაატა კაპანაძე, ლამარა მჭედლიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ ოყრეშიძე, ელგუჯა უნდილაშვილი, გიორგი ქიმერიძე, მარინე ყიფშიძე„ დავით შალიკაშვილი, ილია ჩათლაშვილი, ს.ს. „დავით ალმაშენებელი“, შპს „ა.მ.ს“, შპს „ლადი აუდიტი“, შპს „ლუსანი“, შპს „ხოხობი“ გაირიცხონ საზოგადოებიდან და მიეცეთ შესაბამისი კომპენსაციები მათი წილების პროპორციულად, ხოლო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული მათი წილი 2.26 პროცენტი გადაეცეს საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორს გიორგი ვაშაკიძეს და მისი წილი საწესდებო კაპიტალში განისაზღვროს 73.093 პროცენტის ოდენობით, მანვე უზრუნველყოს კომპენსაციების ანაზღაურება.

კრების თავმჯდომარე **გიორგი ვაშაკიძე**

დამფუძნებლები:
**ბადრი ვაშაკიძე**
**მანანა სიმონიშვილი**

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
### სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიურო

№01/103-12-504 4.02.2008 წ.

შპს „ვაგი“-ს წარმომადგენელს
ბ-ნ მამუკა ჯაშიაშვილს

**ბატონო მამუკა,**

თქვენი 2008 წლის 4 თებერვლის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით საინფორმაციო-სამისამართო ბიუროში ინფორმაციის მოპოვება ფიზიკურად შეუძლებელია.

კონკრეტულ პიროვნებაზე ინფორმაციის მოპოვება-გაცემისათვის აუცილებელია: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი ან დაბადების ადგილი.

**პატივისცემით,**

**თამარ მაჭავარიანი,**
საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს უფროსი

## სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი შპს „ვაგი“-ს შესახებ (საწარმოს საფირმო სახელწოდება)



№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

# ყურადსაღები

● **ალმოჩენილია 37 გენის ქსელი, რომლებიც აწესრიგებენ სისხლში ეგრეთ წოდებული „ცუდი“ ქოლესტერინის არსებობას. ეს აღმოჩენა საშუალებას იძლევა შევიმუშაოთ სამკურნალო საშუალებანი, რომლებსაც შეეძლებათ თუ ვერ შეაჩერებენ, დიდად მაინც შეაჩერონ ავადმყოფობის მიმდინარეობა**

## ◎ როგორ მოვუაროთ თავს?

# ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთ არის

## გვირჩევენ, გავითვალისწინოთ

### ოფიციალური სტატისტიკა

**... ონკოლოგიური დაავადებანი რუსეთში (საქართველოში ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს) არის ერთ-ერთი მთავარი სამ მიზეზთა შორის, რის გამოც იღუპებიან ადამიანები: 300 ათასი ადამიანი წელიწადში. ესაა მთელი ქალაქის მოსახლეობა! 150 ათასი კაცი ყოველწლიურად ავადდება ონკოლოგიური დაავადებებით.**

● დაავადების ხანგრძლივობის პროცენტი ხუთი წლის მანძილზე 43-ზე ნაკლებია. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროპაში. კიბოს დაავადებათა აღრიცხვაზე იმყოფება 2,5 მილიონი ადამიანი.

● სარძევე ჯირკვლების კიბო ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებაა ქალთა შორის – 23 პროცენტი კიბოს ყველა სახეობაა.

სხვა ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადება: ფილტვების კიბო (რუსეთში ყოველწლიურად 63 ათასი ადამიანი), ლიმფატიკური სისტემის სიმსივნეები (რუსეთის ფედერაციაში წელიწადში 7 ათასი შემთხვევაა), კოლორაქტული კიბო (50 500 ახალი პაციენტი წელიწადში).

### დიაგნოზი... ჰაერიდან

**ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს დაავადებათა დიაგნოსტიკის პრინციპულად ახალი მეთოდიკა.** დიაგნოზი ისმება ადამიანის მიერ ამოსუნთქული ჰაერის მოლეკულური შემადგენლობის შესწავლის საფუძველზე. მოლეკულების ზოგიერთი სახეობა, რომლებსაც შეიცავს ამოსუნთქული ჰაერი, მოწმობს გარკვეული ავადმყოფობებისა და ჩვეულებების არსებობის შესახებ.

### ალმოჩენილია ინსულტის გენი

**შვედმა მეცნიერებმა შეძლეს ამოეხსნათ ინფარქტებისა და ინსულტების წარმოქმნის მექანიზმი. ამ დაავადე-**



**ბათა ძირითადი მიზეზია ათეროსკლეროზი, რომლის დროსაც სისხლის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის ქოლესტერინის ბალთები, რომლებიც ილექებიან სისხლძარღვებზე.** შვედეთის სამეფო ინსტიტუტის მეცნიერებმა შეძლეს გამოევლინათ გენების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცესზე.

– ალმოჩენილია 37 გენის ქსელი, რომლებიც აწესრიგებენ სისხლში ეგრეთ წოდებული „ცუდი“ ქოლესტერინის არსებობას. ეს აღმოჩენა საშუალებას იძლევა შევიმუშაოთ სამკურნალო საშუალებანი, რომლებსაც შეეძლებათ თუ ვერ შეაჩერებენ, დიდად მაინც შეაჩერონ ავადმყოფობის მიმდინარეობა, – აღნიშნა სამეფო მოლეკულური მედიცინის ინსტიტუტის დოცენტმა იოჰან ბიოკრეგენმა.

### სახალხო აფთიაქი

**ჭერმის, ფინიკის, შავი ქლიავისა და სხვა ხილის ჩირი შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ როგორც ვიტამინური სასმელები, არამედ, როგორც გემრიელი წამალი. ჩირი ხომ ხშირად გამოიყენება სახალხო მედიცინის რეცეპტებში...**

● ქრონიკული ყაბზობის დროს რეკომენდებულია ასეთი რეცეპტი: კურკისაგან გათავისუფლებული შავი ქლიავის ჩირი გავატაროთ საკეპ მანქანაში. ამ მასას დავუმატოთ 200 გრამი ნატურალური თაფლი და კარგად ავურიოთ. თაფლი უნდა იყოს თხევადი. გამოყენების საშუალება: ერთი ჩაის კოვზი მივიღოთ ვახშმობის დროს და დავაყოლოთ თბილი წყალი.



● არითმიის დროს რეკომენდებულია ავთქვიფოთ სამი სუფრის კოვზი წინასწარ დამბალი ჭერამი, დავუმატოთ ერთი ჭიქა მაწონი და ეს სამკურნალო „იოგურტი“ ვსვათ მთელი დღის განმავლობაში.

● გაციებისა და მშრალი ხველების დროს 4-5 ცალ გამხმარ ლეღვს დავასხათ ერთი ჭიქა ადუღებული რძე, გავაციოთ და გავწუროთ. მივიღოთ თბილი ნარევის სახით დღეში ორჯერ ნახევარი ჭიქა.

● უძილობის დროს რეკომენდებულია ძილის წინ დავლიოთ ფინიკის ჩაი. მშრალი ფინიკების პატარა გუნდა დავასველოთ წყალში სამი-ოთხი საათის განმავლობაში, შემდეგ გამოვაცალოთ კურკები. რბილობი საჭიროა დავზილოთ, დავასხათ ერთი ლიტრი ცხელი წყალი და დავაცადოთ, რომ დაილექოს თერმოსში ერთი საათის განმავლობაში.

### სხვათა შორის

**ჭეშმარიტი ალერგიის გარდა არსებობს ცრუ ალერგიაც (ფსევდოალერგია), რომელიც მიმდინარეობს ანტისხეულების მონაწილეობის გარეშე.**

ამიტომ მრავალი ალერგიული ტესტი ამ შემთხვევაში უარყოფითია. დიდ დახმარებას აქ გაგვიწევს სისხლის ანალიზი იმუნოგლობულინზე, რომელიც შეიძლება გავაკეთოთ მრავალ იმუნოლოგიურ ცენტრში. ისეთ პროდუქტებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფსევდოალერგიული რეაქცია, განეკუთვნება კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, ჯავშნიანი და ზღვის ცხოველების ხორცი, შოკოლადი, კონსერვები,



მარწყვი, ნესვი, ანანასი, შაქარი, ტომატები, ყველი „როკფორი“, „კამამბერი“, „ჩედერი“, ლუდის საფუარი და სხვ. ხშირად ფსევდოალერგიული რეაქციების განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს არა თვით პროდუქტები, არამედ სხვადასხვა ქიმიური დანამატები, რომელთა მიზანია გააუმჯობესოს მათი გემო და გარეგნული სახე: სალებავები, არომატიზატორები, ანტიოქსიდანტები, ემულგატორები, ფერმენტები, ბაქტერიოსტატური ნივთიერებანი, კონსერვანტები.

### სამახსოვრო მშობლებისთვის

**ბევრი ადამიანი პირველად ცდის ნარკოტიკებს და ისინი უკვე ემორჩილებიან მათ ადრეულ ასაკში. მოზარდები მათი ჩამოუყალიბებელი ფსიქიკისა და მიდრეკილებების პერიოდში, ძალიან ადვილად ხვდებიან მის ტყვეობაში.** და მშობლები იმას, რომ მათი ბავშვი ღებულობს ნარკოტიკებს – გებულობს ძალიან გვიან, როცა უკვე ძნელია მათგან გათავისუფლება. ზუსტად იმის გაგება, ღებულობს თუ არა თქვენი შვილი ნარკოტიკებს, შეიძლება მხოლოდ სისხლის ანალიზის მეშვეობით. მაგრამ არის ზოგიერთი არაპირდაპირი ნიშანი ნარკომანიისა, რომლებიც უკარნახებენ მშობლებს, რომ დროა შემოჰკრან განგაშის ზარი. თქვენ უნდა ფრთხილად იყოთ, თუ თქვენი ბავშვი იცვლის ცხოვრების წესს:

● მას მკვეთრად შეეცვალა ურთიერთობის წრე, გაწყვიტა ურთიერთობა



თავის მეგობრებთან და გაიჩინა ახალი ნაცნობები.

● დაეცა მისი წარმატება სკოლაში, გაუუარესდა მეხსიერება, ბავშვს აღარ აინტერესებს ადრინდელი მეცადინეობები.

● ბავშვი ჩაიკეტა თავის ოთახში და მალავს თქვენგან პირად ნივთებს.

● გთხოვთ გაუზარდოთ ჯიბის ფული, სახლიდან იკარგება ფული და ფასიანი ნივთები.

● მოზარდი დიდხანს აგვიანებს სახლში მოსვლას.

თუ შეიცვალა ბავშვის ქცევა და გარეგნული სახე:

● დაეკარგა ან პირიქით გაეზარდა მადა, გაუჩნდა მუდმივი წყურვილის გრძნობა.

● ბავშვს ხშირად ეცვლება განწყობილება, გაუჩნდა აგრესია.

● ბავშვის კანი გახდა მიწისფერ-რუხი, თვალის უპეები გაუფართოვდა ან პირიქით, გაუწვრილდა.

● ბავშვს სჭირს სურდო და სდის ცხვირიდან სისხლი.

● აკანკალებს, თავს აქიცინებს, გაეზარდა ოფლიანობა.

● ბავშვი თავის თავში ჩაიკეტა ან პირიქით, ძალიან სიტყვამრავალი გახდა.

● მოზარდი გახდა მოდუნებული და მძინარა ან პირიქით, სტანჯავს უძილობა.

● ბავშვი სწრაფად გახდა, გაუჩნდა ძირმაგარები.

● დაეკარგა მოძრაობის კოორდინაცია.

● მკვეთრად დაეცა თვითშეფასების უნარი, ბავშვი სულ დათრგუნულია.

თუ სახლში გამოჩნდა:

● ფხვნილები, აბები, გაუგებარი წარმომავლობის ამპულები.

● ფლაკონები, პატარა კოვზები, შპრიცები, კოვზები ინექციისათვის, სამედიცინო მარლა.

● ფოლგა, ქაღალდები შეხვეული პატარა მილებად.

● თუ სახლიდან იკარგება რაღაცრაღაცეები: კერძოდ, წამლები, ძმარი, სოდა, იოდი (ყველა ეს უვნებელი ნივთიერება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნარკოტიკების კუსტარული დამზადების დროს).

### სახის ნიღაბი პირშუშხასაგან

**ახალი პირშუშხის პატარა ნაჭერი გავხეხოთ წვრილ სახეხზე, დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი საფუარი, გავაზავოთ რძეში.** ფაფა წავისვათ სახეზე 20 წუთით, შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით და წავისვათ კრემი. პირშუშხა საუცხოოდ არბილებს კანს, ამიტომ იგი სუფთა სახით შეიძლება გამოვიყენოთ გამაგრებული კანის დასარბილებლადაც. პირშუშხის ნიღაბი ხელსაყრელია მათთვისაც, ვისაც გაუშავდა კანი, მას შეუძლია შეასრულოს აგრეთვე ბუნებრივი პილინგის როლიც, ესე იგი, გამოვაფხიზლოთ გამხმარი კანი.

### ვიტამინები ფანჯრის რაფაზე

**გასუფთავებული ხორბალი შეიძლება ვიყიდოთ ზოომაღაზიაში. დადეთ იგი თეფშზე და დაასხით წყალი, რომ გაღვივდეს.** ორი-სამი დღის შემდეგ მარცვლეული ჩათესეთ ქოთანში, ამოსული ჯეჯილი გადაჭერით და დაუმატეთ სალათას. ეს განსაკუთრებით გამოადგებათ მათ, ვისაც აწუხებს კუჭის შეკრულობა და საკვების მონელების პრობლემები, ხშირად ემართებათ სტრესი.

### ჩაი თავის ტკივილს შველის

**ერთი ჩაის კოვზი მწვანე ჩაი, მესამედი ჩაის კოვზი დარიჩინი და ერთი ჩაის კოვზი მშრალი პიტნა მოვხარშოთ. ჩაი შეიძლება მივიღოთ სამ ნატეხ შაქართან ერთად.**

### ბურახი წნევის წინააღმდეგ

**წვრილად დავჭრათ ერთი კილოგრამი ჭარხალი, დავუმატოთ ორი სუფრის კოვზი შაქარი, დავასხათ 1,5 ლიტრი თბილი ანადუღარი წყალი, დავუმატოთ ორი ნაჭერი პური.** ბურახი გავაჩეროთ შვიდი დღე ოთახის ტემპერატურაზე. მივიღოთ ჭიქის მესამედი დღე-



ში სამი კვირის განმავლობაში. ბურახი დაბლა სწევს წნევას, ასუფთავებს ნაწლავებს, გვიხსნის თავის ტკივილებს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

● ზურაბ ანჯაფარიძე ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალია, რომელიც სიცოცხლეში უდიდესი პოპულარობითა და აღიარებით სარგებლობდა

*თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*




№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.


## ⦿ ზურაბ ანჯაფარიძე — 80

# ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალი

**საქართველო უმდიდრესი, მაღალგანვითარებული ხალხური და პროფესიული ვოკალური კულტურის ქვეყანაა. ფართოდ არის ცნობილი გამოჩენილი ქართველი მომღერლების სახელები, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია ზურაბ ანჯაფარიძეს (1928-1997წ.**

ზურაბ ანჯაფარიძე ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალია, რომელიც სიცოცხლეში უდიდესი პოპულარობითა და აღიარებით სარგებლობდა. მის ხმაში (ლირიკულ-დრამატული ტენორიძ, მის ვოკალურ და სამსახიობო ხელოვნებაში განსახიერება ჰპოვა ქართველი ხალხის მუსიკალურმა გენიამ, თანდაყოლილმა არტისტიზმმა და მაღალმა სულიერებამ.

დაუვიწყარია ზ.ანჯაფარიძის მიერ შექმნილი მუსიკალური და სცენური სახეები ქართულ, იტალიურ, რუსულ და სხვა ოპერებში (30 მთავარი პარტიაძ.

ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავი მნიშვნელოვანი თარიღია თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების მატიანეში.

ზურაბ ივანეს ძე ანჯაფარიძე დაიბადა 1928 წლის 12 აპრილს ქუთაისში – საქართველოს ერთ-ერთ უძველეს, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქში. მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს სოლო სიმღერის სპეციალობით გამოჩენილი მომღერლისა და პედაგოგის პროფესორ დავით ანდღულაძის ხელმძღვანელობით.

ზურაბის არტისტული „ნათლობის დღედ“ იქცა კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი – ქართველი კომპოზიტორ-კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა – „აბესალომ და ეთერი“, სადაც მან ბრწყინვალე წარმატებით შეასრულა აბესალომის პარტია.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ქართულ საოპერო ხელოვნებას მოევლინა უნიჭიერესი, დიდი არტისტული პოტენციალის მქონე ახალგაზრდა მომღერალი, რაც მან სულ მალე დაადასტურა თავისი შემდგომი როლებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ზურაბი თეატრის ნამდვილ „ვარსკვლავად“ იქცა. ამ წლებში განსახიერებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მალხაზი (ფალიაშვილის „დაისი“ძ, ხოზე (ბიზეს „კარმენი“ძ, კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“ძ და გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ძ, რომელიც შემდგომ მის საუკეთესო „სავიზიტო ბარათად“ იქცა.

1959-1970 წლებში ზ.ანჯაფარიძე მოღვაწეობდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის „დიდ თეატრში“, სადაც მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი ამ განთქმული თეატრის წამყვანი სოლისტი გახდა. აქ მისი უახლოესი კოლეგები და თანამშრომლები გახდნენ განთქმული მომღერლები ირინა არხიპოვა, გალინა ვიშნევსკაია, ელენა ობრაზცოვა, ივან პეტროვი, ევგენი ნესტერენკო, დირიჟორი ალექსანდრე მელიქ-ფაშაევი, რეჟისორი ბორის პოკროვსკი და სხვები.



დიდი საშემსრულებლო წარმატება ხვდა ზურაბის მიერ მოსკოვში განსახიერებულ როლებს, როგორებიცაა რადამესი, ალფრედი, ჰერცოგი, კარლოსი (ვერდის ოპერებში „აიდა“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „დონ-კარლოსი“ძ, ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“ძ.

მოსკოვში მუშაობის პერიოდში ზურაბი არ წყვეტდა შემოქმედებით კავშირს თავის მშობლიურ თბილისის საოპერო თეატრთან.

ამის ნათელი მაგალითი იყო მისი მონაწილეობა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის შესანიშნავ ოპერა „მინდიაში“ (1961წ, სადაც მან მთავარი გმირის – მინდიას დაუვიწყარი სახე შექმნა, რომელიც ჭეშმარიტ ეტალონად იქცა ამ ოპერის სცენურ სიცოცხლეში (იგი დაიდგა 10-ზე მეტი სხვადასხვა თეატრის სცენაზეძ.

ცხადია, რომ ამ წლებში უდიდესი წარმატებით სარგებლობდა ზურაბის საგასტროლო სპექტაკლები თბილისისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სცენებზე.

რუსეთში მუშაობის პერიოდში ზ.ანჯაფარიძემ უდიდესი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ავტორიტეტი მოიპოვა. მან მონაწილეობა მიიღო სსრკ „დიდი თეატრის“ საზღვარგარეთულ გასტროლებში (კანადა, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, იუგოსლავია, რუმინეთიძ და საერთაშორისო აღიარებაც დაიმსახურა.

მილანის განთქმულ „ლა სკალაში“ მისი გამოსვლა გერმანის პარტიაში (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ძ შეფასდა, როგორც საშემსრულებლო შედევრი. შემთხვევითი არ იყო, რომ შემდგომ სწორედ მან გაახმოვანა გერმანის როლი ცნობილ რუსულ იმავესახელიან კინოფილმში (1964წ.

1970 წელს ზ.ანჯაფარიძე დაუბრუნდა თბილისს, სადაც განაგრძო თავისი ბრწყინვალე არტისტული კარიერა. ამ პერიოდში განსახიერებული ახალი როლებიდან აღსანიშნავია კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“ძ, ტურიდუ (მასკანის „სოფლური ღირსება“ძ, ოტელო (ვერდის „ოტელო“ძ და სხვ. ზურაბმა მონაწილეობა მიიღო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის შესანიშნავი ოპერის „ლელას“ პრემიერაში (1975წ, სადაც მან დიდებულად შეასრულა მთავარი გმირის – ბერდოს როლი.

1979-1982 წლებში ზ.ანჯაფარიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად მუშაობდა.

ცალკე საუბრის თემაა ზურაბ ანჯაფარიძის საკონცერტო მოღვაწეობა. იგი გამოდიოდა კამერულ კონცერტებზე პოპულარული საოპერო არიების შესრულებით, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა ქართველი კომპოზიტორების რომანსებისა და სიმღერების შესრულება, სადაც იგი მართლაც რომ შეუდარებელი იყო. დაუვიწყარია მის მიერ ისეთი რომანსების შესრულება, როგორებიცაა თამარ შავერზაშვილის „ლერწამი ხარ“, ალექსი მაჭავარიანის „არ დაიდარდო, დედაო“, არჩილ ჩიმაკაძის „შენნი დალალნი“, რევაზ ლაღიძის „შენ გიმღერი, ჩემო თბილის-ქალაქო“, სულხან ცინცაძის „ბაში-აჩუკის სიმღერა“, არჩილ კერესელიძის „სოხუმის ნაპირს მოადგა ტალღა“, ლილი იაშვილის „მუხამბაზი“ და სხვ., რომლებსაც იგი არაჩვეულებრივად გულშიჩამწვდომად, უდიდესი გრძნობით მღეროდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზურაბის მიერ ბარათაშვილის პარტიის შესრულება ო. თაქთაქიშვილის მონუმენტურ ორატორიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სადაც მან დიდი ქართველი პოეტის შთაგონებული სახე შექმნა (1971წ.

1972 წლიდან ზ.ანჯაფარიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, იყო მუსიკალური დისციპლინების კათედრის გამგე, პროფესორი.

ზ.ანჯაფარიძე გარდაიცვალა თბილისში თავის დაბადების დღეს – 1997 წლის 12 აპრილს. დაკრძალულია თბილისის საოპერო თეატრის ბაღში დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილისა და ქართველი ხალხის საყვარელი მომღერლის – ვანო სარაჯიშვილის საფლავების გვერდით.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელი უკვდავია.

**გულბათ ტორაძე**

---

**შვილები ტატო (ელგუჯაძ, ლეილა, მზია, ნოდარი, რძალი თამარ ხაზეიშვილი, შვილიშვილები პაატა, ლევან, ჭაბუკა შამათავები,ბექა, ანანო გელენავები, ძმისწულები მერაბ, მანანა, ია, კახა ხურცილავები, ლიანა, რაულ თოფურიები, რომან, რევაზ, ცისანა ჯიქიები, ახლო ნათესავები იუწყებიან**

**ნელი ილიას ასულ ხურცილავა-გელენავას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 IV, 17 სთ. გამოსვენება 15 IV, 15 სთ. გლდანის III ა მიკრორაიონი, 23-ე კორპუსი, IV სადარბაზო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს მზია გელენავას დედის**

**ნელი ილიას ასულ ხურცილავა-გელენავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ კოლეგასა და მეგობარს გივი მელიქიშვილს გარდაეცვალა მამა**

**ნიკოლოზ იოსების ძე მელიქიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მეუღლე დალილა ცხადაძე, შვილები ირაკლი, თამარ კოვზანაძეები, შვილიშვილები კარლო, დიანა, დიმიტრი კოვზანაძეები, ცოლისდა ირინა ცხადაძე, ქვისლი არჩილ ბურჯანაძე, რძალი თინა გოგიბერიძე, მაკა, ანდრო ცხადაძეები, ქეთევან, ნიკა ბურჯანაძეები, მიხეილ, ეთერ გოცირიძეები, ციალა, ხუტა, დათო კოვზანაძეები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კარლო დიანოზის ძე კოვზანაძე**

**პანაშვიდი 13, 14 IV, 17 სთ. დაკრძალვა 15 IV, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის ქ.№79.**

---

**ეთერ და მიხეილ გოცირიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სიძე**

**კარლო კოვზანაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**კვარაცხელიების საგვარეულო თანაგრძნობას უცხადებს ნათელა და ნუგზარ კვარაცხელიებს შვილის**

**ლევან კვარაცხელიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს – ნათელა ჭავჭანიძესა და ნუგზარ კვარაცხელიას ტრაგიკულად გარდაეცვალათ შვილი**

**ლევან კვარაცხელია**

**და თანაგრძნობას უცხადებს მათ.**

---


**2008 წლის 2 მაისს, დღის 12 სთ-ზე გაიმართება სს „თავთუხის“ აქციონერთა კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ.№2.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტორის არჩევა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
4. საწარმოს რეორგანიზაცია (ნატურით გაყოფაძ;
5. საწესდებო კაპიტალის შემცირება;
6. სხვადასხვა.

აქციონერთა საალრიცხვო თარილად დანიშნულია 2008 წლის 30 აპრილი.

კრებაზე თავიანთი მონაწილეობის უფლება აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ აქციათა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ქ. თბილისში, სამგორის ქ.№2, ტელ: 899 54 23 20.



**იყიდება ძველებური ბუფეტი და გარდერობი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 899 42-50-95.**



**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ**

შპს „სანდასუფთავება“ აცხადებს აუქციონს 1855 (ერთი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) კილო ცოცხალი ღორის ხორცის რეალიზაციის მიზნით, ერთ ლოტად. საწყისი ფასი 4266.5 (ოთხი ათას ორას სამოცდაექვსი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (1კგ. ხორცზე 2 ლარი და 30 თეთრი). ბიჯი 371 ლარი (1კგ. ხორცზე 0.20 ლარი), ბე 200 ლარი. აუქციონი ჩატარდება შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციულ შენობაში, 2008 წლის 29 აპრილის 14 საათზე (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია).

შენიშვნა: შპს „სანდასუფთავების“ დირექტორის 2007 წლის 13 ნოემბრის № 510 ბრძანებით ჩამოყალიბებული კომისიის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, თუ არ მოხდება გამოტანილი ქონების ერთ ლოტად რეალიზაცია, მონაწილეებს ეძლევათ საშუალება შეიტანონ ხელახალი განაცხადები ცოცხალი მასის საცალოდ (წონის მიხედვით) რეალიზაციის თაობაზე. საცალო რეალიზაციის შემთხვევაში თანხა გადახდილი უნდა იქნეს აუქციონის დამთავრებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
ბეს გადახდის ქვითარი,
პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შესაბამისად დამოწმებული მინდობილობა და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**შპს „სანდასუფთავების“ საბანკო რეკვიზიტები:**
**სს „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალი**
**ბანკის კოდი: 220101901**
**ა/ა 360801010300054**
**ს/კოდი: 245548153**
**ტელ: 877 977 957**



**სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელას“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**განცხადება**

**2008 წლის 01 მაისს 11 საათზე მოწვეულია აქციონერთა მორიგი საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის წლიური შედეგები და დამტკიცება;
2. 2008 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

მისამართი: დ. გურამიშვილის გამზირი №64.

რეგისტრაციის დასაწყისი 10 საათზე. აქციონერებმა თან იქონიონ პირადობის მოწმობა ან სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

● მამა პიმენი გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაში ქრისტიანობას ქადაგებდა და რეგიონში არსებული დაზიანებული ეკლესიების აღდგენას ცდილობდა.
ჭუბურხინჯში გატაცებული მამა პიმენი აფხაზმა სეპარატისტებმა გუშინ დილით გაათავისუფლეს




№ 68. შაბათი, 12 აპრილი, 2008 წელი.

## ინფორმაცია

### აფხაზები სასულიერო პირებსაც არ ინდობენ



**პიმენ ქარდავა მოგვიანებით სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ძალით გადმოიყვანეს.**

მამა პიმენი სასულიერო მოღვაწეობას აფხაზეთში მარტიდან ეწევა. მღვდლად კურთხევამდე იგი ავადმყოფი დედის სანახავად აფხაზეთში პერიოდულად გადადიოდა. იგი გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაში ქრისტიანობას ქადაგებდა და რეგიონში არსებული დაზიანებული ეკლესიების აღდგენას ცდილობდა.

ჭუბურხინჯში გატაცებული მამა პიმენი აფხაზმა სეპარატისტებმა გუშინ დილით გაათავისუფლეს.

აფხაზმა შეიარაღებულმა პირებმა ქართველი მოძღვარი გუშინწინ ტაძრიდან გაიტაცეს. ეკლესიას თავს 10-მდე შეიარაღებული პირი დაესხა.

თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მღვდელს მრევლის წინაშე მიაყენეს. მრევლმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, თუმცა თავდამსხმელებმა მრევლი ჰაერში სროლით დააშინეს და მოძღვარი გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

### ქურდებმა პოლიციელი სცემეს

**მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში დაუდგენელმა პირებმა დაცვის პოლიციის თანამშრომელს თ. გოგილაშვილს სხეულის დაზიანება მიაყენეს.** შემთხვევა 8 აპრილს, 03.30 სთ-ზე შპს „ალიონი 21“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ორი პირი ქარხანაში შეღწევასა და მის გაქურდვას ცდილობდა, თუმცა ისინი დაცვის პოლიციის დაკავების უმცროსმა ინსპექტორმა თ. გოგილაშვილმა შენიშნა, რომელსაც ბოროტმოქმედებმა სხეულის დაზიანება მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სს საქმე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ყურადღება!

# გამოიწერეთ ყველაზე სანდო გაზეთი!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები. მკითხველთა აღიარებით ის ყველაზე სანდო, მართალი და აკადემიური გაზეთია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ ყოველდღიური „საქართველოს რესპუბლიკა“ და დარწმუნდებით, რომ თქვენი თანადგომა, ყოველი საინტერესო სტატიის პირუთვნელი შეფასება, ერთობლივი ფიქრი და განსჯა ეროვნულ პრობლემებზე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სამშობლოს გადარჩენას.**

**ჩვენს გაზეთს ხომ ჩვენი საერთო სამშობლოს სახელი ჰქვია!**

**შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ:**

**მაცნე — 37-47-49; საქპრესა — 93-30-40; ექსპრესი — 93-66-78; უწყებანი — 93-64-72; ინფოსერვისი — 95-48-82; რუბიკონი — 96-45-69; პილონი — 34-77-43.**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას 12; დაგვირეკეთ — 98-65-87; 79-76-79.**

**გაზეთი სამი თვით ღირს 33 ლარი, ექვსი თვით — 66 ლარი...**

**ჩვენი ინდექსია — 66434.**

**ჩვენთან რეკლამა ყველაზე მომგებიანია!**

## ინფორმაცია

### საჩუქარი „დიდაჭარობის“ დღესასწაულისთვის

**აჭარის ორი მაღალმთიანი სოფელი ორი დღეა სტაბილურ ელექტროენერგიას იღებს.**

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ექსპლუატაციაში გაუშვა ახალი, 1 500-მეტრიანი, 10 კვტ-ანი ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც დენით ორი მჭიდროდ დასახლებული სოფლის, დიდაჭარისა და ირემაძეების 550-მდე აბონენტს ამარაგებს.

კომპანიის ინფორმაციით, 50 წლის განმავლობაში ხაზზე მცირედი სარემონტო სამუშაოებიც კი არ ჩატარებულა. ამის გამო, უხვნალექიანი ამინდების დროს, აღნიშნულ სოფლებს დენი დიდი შეფერხებით მიეწოდებოდათ. ახალი ხაზით მოსახლეობა პრობლემებისგან უფრო დაზღვეული იქნება.

გადამცემი ხაზის რეაბილიტაციის დასრულება დაემთხვა ამ სოფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულს — „დიდაჭარობას“.

**ინტერპრესნიუსი**

## იყიდება!

იყიდება 5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ.
ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.
ფასი შეთანხმებით.

## კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ზის ტიპი „ჟიგულში“. მანქანასთან სამი ახმახი მივიდა.

— აბა, გადმოდი ნაქურდალი მანქანიდან!

— რას ამბობთ, ბიჭებო, რის ნაქურდალი, ჩემი მანქანაა!

— შენი იყო, ახლა ნაქურდალია!

* * *

ტიპი თავის პატარა გოგონას ეთამაშება. ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ მამას უბიძგა:

— მორჩა, გეყოფა — თავი მტკივა.

ტიპი დაჯდა, ცოლს შეხედა და ჰკითხა:

— ამას რა, ბავშვობიდან გასწავლიან?



* * *

— გოგონი, რატომ ტირი, რა მოხდა?

— დღეს ბალზე ვერ წავალ და იმიტომ!

— რატომ ვერ წახვალ?

— იმიტომ, რომ ბალი ხვალაა.

* * *

— შენი ფეხსაცმელები რად არის პომადით მოთხვრილი?

— ქალებში დავდიოდი და იმად!

* * *

— წარმოგიდგენიათ, სახლში ცოლს ვილაც ფრანგთან წავასწარი.

— მერე რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა? მე ხომ სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.